პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 10 ივლისი, № 157

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. [illegible]—23—17, [illegible] 10—58, მთ. კონტორის—5—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზის ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების გარდაქმნის შესახებ

საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ — დამტკიცდეს გზათა სახალხო კომისარიატის შემდეგი გადაწყვეტილებანი რკინის გზის ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების გარდაქმნის და შტატების საკითხზე, რომლებიც გამოტანილია სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის მიერ 3 ივლისს „რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ" მიღებულ დადგენილების საფუძველზე.

I. გზათა სახ. კომისარიატის აპარატი

1 გაუქმდეს გზათა სახალხო კომისარიატში ამჟამად არსებული შემდეგი სამმართველოები და ტრესტები:

ა) შრომის სამმართველო, შრომის საკითხები გადაეცეს სათანადო სამმართველოებს და განყოფილებებს;

ბ) ტექნიკური პროპაგანდის სამმართველო, ეს ფუნქციები გადაეცეს კადრების მომზადების განყოფილებას და სატრანსპორტო - სარკინიგზო გამომცემლობას;

გ) ტრანსპორტის რეკონსტრუქციის კომიტეტი, მისი ფუნქციები გადაეცეს სახკომთან არსებულ საგეგმო-ეკონომიურ განყოფილებას (თათბირს).

დ) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის და სათადარიგო ნაწილების სამმართველო, მისი ფუნქციები მოძრავი შემადგენლობის და სათადარიგო ნაწილების დაკვეთების მხრივ გადაეცეს საორთქლმავლო მეურნეობის სამმართველოს და სავაგონო მეურნეობის სამმართველოს;

ე) მექანიზმების და მანქანების დაპროექტების კანტორა;

ვ) კომუნალური სამმართველო, ეს ფუნქციები გადაეცეს სალიანდაგო სამმართველოს;

ზ) სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველო, ეს ფუნქციები გადაეცეს სამმართველოებს და განყოფილებებს;

თ) განაწილების ცენტრალური სამმართველო, ეს ფუნქციები გადაეცეს სათანადო სამმართველოებს და განყოფილებებს;

ი) მოსკოვის კვანძის რეკონსტრუქციის სამმართველო, ამ სამმართველოს ფუნქციები გადაეცეს ექსპლოატაციის სამმართველოს;

კ) „გიპროზავოდტრანსი" და გადაკეთებულ იქნას იგი საპროექტო კანტორად ორთქლმავალთა სარემონტო ტრესტთან;

ლ) ეკონომიურ გამოკვლევათა ტექნიკის ტრესტი, მისი ფუნქციები გადაეცეს ახალი რკინისგზების მშენებლობის სამმართველოს;

მ) შესრულების შემოწმების კონტროლის სამმართველო; მოეწყოს სახკომთან შესრულების კონტროლის და შემოწმების ჯგუფი;

ნ) შრომის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი და ექსპერიმენტალური საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, აღნიშნული ინსტიტუტების ფუნქციები გადაეცეს სამმართველოებთან და განყოფილებებთან არსებულ ინსტიტუტებს;

2 დაწესდეს გზათა სახალხო კომისარიატის ძირითად ცენტრალურ სამმართველოების და განყოფილებების შემდეგი სტრუქტურა:

ა) პოლიტსამმართველო,
ბ) ექსპლოატაციის სამმართველო,
გ) საორთქლმავლო მეურნეობის სამმართველო,
დ) სავაგონო მეურნეობის სამმართველო,
ე) ლიანდაგის და ნაგებობათა სამმართველო,
ვ) სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის სამმართველო,
ზ) ახალი რკინის გზების მშენებლობის სამმართველო,

3 გადაკეთებულ იქნან შემდეგი სამმართველოები და ტრესტები ცენტრალურ განყოფილებებად;

ა) საგეგმო-ეკონომიური,
ბ) საფინანსო,
გ) მატერიალური მომარაგების,
დ) ელექტროფიკაციის,
ე) სატყეო მეურნეობის,
ვ) კადრების მომზადების,
ზ) მთავარი ინსპექცია სახკომთან,
თ) აღრიცხვის,
ი) სამობილიზაციო,
კ) სანიტარულ-საექიმო,
ლ) გზების დაცვის,
მ) ზურგის მილაშქრეთა,
ნ) ბიურო საერთაშორისო მიმოსვლის საკითხებზე,
ო) ადმინისტრატიულ-საორგანიზაციო,
პ) საქმეთა მმართველობა,
რ) სტანდარტიზაციის კომიტეტი,
ს) სატარიფო კომიტეტი,
ტ) არბიტრაჟი.

მოეწყოს გზათა სახალხო კომისარიატში მუშათა მომარაგების განყოფილება.

4 დატოვებულ და რეორგანიზებულ იქნას შემდეგი ტრესტები:

ა) ორთქლმავალთა სარემონტო ქარხნების ტრესტი საორთქლმავლო მეურნეობის სამმართველოსათვის დაქვემდებარებით.

ბ) ვაგონების სარემონტო ქარხნების ტრესტი სავაგონო მეურნეობის სამმართველოსათვის დაქვემდებარებით;

გ) მანქანათმშენებლობის ტრესტი;

დ) რკინის გზის სატრანსპორტო გამომცემლობა, გაერთიანებული „ტრანსპეჩატთან".

დანიშვნის არსებული წესების შესაცვლელად დაწესდეს, რომ სახალხო კომისარი უშუალოდ ნიშნავს და ხსნის: გზათა სახალხო კომისარიატის სამმართველოების და განყოფილებების უფროსებს და მათ მოადგილეებს, გზების უფროსებს, მათ მოადგილეებს და გზის შემდეგი დარგების უფროსებს: ორთქლმავლების, ვაგონების ექსპლოატაციის, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის, და აგრეთვე რაიონების უფროსებს, ტრესტების და ქარხნების დირექტორებს.

გზათა სახალხო კომისარიატის არსებულ საერთო შტატის ნაცვლად 5.631 კაცის რაოდენობით (ინსტიტუტებთან ერთად), გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის საერთო შტატი (უინსტიტუტებოდ) განისაზღვროს 4.262 კაცით, ხოლო მთელი ინსტიტუტი—8.291 კაცით.

II. გზის მმართველობა

1 რკინის გზის ტრანსპორტის ძირითად სამეურნეო ერთეულს წარმოადგენს გზა. გზის უფროსი მთლიანად პასუხისმგებელია მთელი მეურნეობის მდგომარეობისა და მოცემული გზის მუშაობისათვის და უშუალოდ ემორჩილება სახკომს. ამასთან შეფარდებით, მოისპოს გზათა სახალხო კომისარიატის ზოგიერთ სამმართველოში ფეხმოკიდებული პრაქტიკა უხელმძღვანელონ გზის ცალკეულ სახაზო ორგანიზაციებს გზის უფროსის გვერდის ავლით.

2 გზის უფროსის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს—აღმოფხვრას კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები გზის დარგების და განყოფილებების მუშაობაში და განახორციელოს ხაზის კონკრეტული ცოცხალი ხელმძღვანელობა, დააწესოს მტკიცე შრომის დისციპლინა მმართველობის ორგანოებსა და წარმოებაში, ზუსტად შეასრულოს გზათა სახალხო კომისარიატის მითითებანი და განკარგულებანი და შეასრულოს გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული გზის სატრანსპორტო-საფინანსო გეგმა.

3 გზა მუშაობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. სახსრები, რომლებიც ეძლევა გზას გზათა სახალხო კომისარიატის მიერ, როგორც ექსპლოატაციისა, ისე კაპიტალური მშენებლობისათვის, იმყოფება გზის უფროსის სრულ განკარგულებაში და იხარჯება გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული გეგმის მიხედვით. გზათა სახალხო კომისარიატის სამმართველოებს არ შეუძლიათ ამ სახსრების და მასალის ხელახლა განაწილება გზის უფროსის თანხმობის გარეშე ან სახალხო კომისრის სპეციალური განკარგულების გარეშე. გზების დაფინანსების გეგმაში დატოვებულ უნდა იქნას ერთგვარი ფონდი გზის გაუთვალისწინებელი საჭიროებებისათვის, რაც ინახება გზის უფროსის განკარგულებაში.

4 გზის უფროსს უშუალოდ ექვემდებარება რაიონები, ძირითადი დეპოები, სავაგონო მეურნეობის უბნები, სახელოსნოები, ლიანდაგის დისტანციები და კავშირგაბმულობის დისტანციები.

5 გზის უფროსი სახალხო კომისარს დასანიშნავად ურდგენს დარგების უფროსებს და რაიონების უფროსებს. გზის უფროსი უშუალოდ ნიშნავს გზის განყოფილებათა უფროსებს, დარგებისა და განყოფილებების უფროსთა მოადგილეებს, რაიონების ინსპექტორებს, ძირითადი საორთქლმავლო დეპოების უფროსებს, სახელოსნოების და სავაგონო მეურნეობის უფროსებს და ლიანდაგის დისტანციის და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსებს გზის დარგების უფროსთა წარდგენით.

6 გზის მიმართ გაცემულ უმნიშვნელოვანეს განკარგულებათა შესრულების ყოველდღიური კონტროლის და შემოწმების განსახორციელებლად, გზის უფროსს თავისთან ჰყავს ინსპექტორთა შტატი 3-დან 5 კაცამდე.

7 გაუქმდეს გზათა დირექციებში ახლა არსებული თანამდებობანი და განყოფილებანი:

ა) კომუნალური;
ბ) კომერციული;
გ) შრომის;
დ) კადრების აღრიცხვის და განაწილების;
ე) რაციონალიზაციის;
ვ) საიდუმლო-გამშიფრავი;
ზ) მოძრაობის უშიშროების;
თ) ტექნიკური პროპაგანდის;
ი) დამხმარე საწარმოების;

გაუქმებულ განყოფილებათა ფუნქციები გადაეცეს სათანადო დარგებს და ახალი სტრუქტურის დროს დარჩენილ განყოფილებებს.

8 დაწესდეს შემდეგი ტიპური სტრუქტურა გზებისათვის:

ა) გზის უფროსი;
ბ) გზის უფროსის მოადგილე;
გ) გზის პოლიტგანყოფილების უფროსი;
დ) თანაშემწე მუშათა მომარაგების ხაზით (მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი);
ე) მოეწყოს გზის უფროსის სამმართველოში შემდეგი დარგები: ორთქლმავლების და ვაგონების ექსპლოატაციის, ლიანდაგის და ნაგებობათა, სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის.

დარგების უფროსთა განკარგულებების ზუსტად შესრულება სავალდებულოა ხაზის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ორგანოებისათვის.

9 მოეწყოს გზის უფროსის სამმართველოში შემდეგი განყოფილებები:

ა) პოლიტგანყოფილებანი;
ბ) საგეგმო;
გ) საფინანსო და ცალკე ბუღალტერია;
დ) მატერიალური;
ე) მუშათა მომარაგების;
ვ) სამშენებლო განყოფილება ან კონტორა გზებზე (რომელთაც აქვთ სამშენებლო სამუშაოთა დიდი მოცულობა);
ზ) ელექტროფიკაციის (იქ, სადაც არის ელექტროფიცირებული უბნები);
თ) სატყეო (გზებზე, რომლებიც ეწევიან ხე-ტყის დამუშავებას);
ი) კადრების მომზადების;
კ) სასანიტარო-საექიმო;
ლ) აღრიცხვის და ანგარიშგების;
მ) სამობილიზაციო;
ნ) რკინის გზების დაცვის;
ო) ადმინისტრატიულ-ორგანიზაციული.

ამჟამად 25.182 რაოდენობით არსებული შტატების ნაცვლად დაწესდეს საერთო შტატი გზების ყველა დირექციისათვის 23.844 (პოლიტგანყოფილებათა და მუშათა მომარაგების განყოფილებათა გამოკლებით).

III. რაიონის მმართველობა

1 რაიონის უფროსი უშუალო ხელმძღვანელობას უწევს საექსპლოატაციო მუშაობას, უზრუნველყოფს მატარებლების ნორმალურ მოძრაობას და მოძრაობის უშიშროებას და აგენტის მიერ ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვას, ამყარებს შრომის სათანადო დისციპლინას და წესრიგს ყველა სადგურზე და მატარებლებში, აუწესებს ვაგონების მუშაობის მაჩვენებლებს და მთლიანად პასუხისმგებელია მისთვის მინდობილი მუშაობისათვის.

2 რაიონის უფროსი უშუალოდ ექვემდებარება გზის უფროსს, ხოლო საექსპლოატაციო მუშაობის ხაზით ოპერატიულ განკარგულებათა შესრულების მხრივ ექვემდებარება გზის მოძრაობის დარგის უფროსსაც.

3 რაიონის უფროსი ინიშნება გამოცდილ ორგანიზატორ ადმინისტრატორთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ საკმაო ცოდნა ექსპლოატაციის დარგში.

4 რაიონის უფროსს უშუალოდ ექვემდებარება რაიონის ფარგლებში ყველა სადგური და ასაქცევები.

5 რაიონის უფროსი თვალყურს ადევნებს გზის უფროსის და დარგების უფროსების ყველა განკარგულების ზუსტად და დროზე შესრულებას ძირითადი დეპოების, სავაგონო უბნების, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციების მიერ და კონტროლს უწევს მათ მუშაობას მატარებელთა მოძრაობის, ორთქლმავლების და ვაგონების დროზე მიწოდების, ორთქლმავლების და ვაგონების ტექნიკური დათვალიერების და რემონტის, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის საშუალებათა წესიერი მდგომარეობის გრაფიკის ზუსტად შესრულებისათვის აუცილებელი ყველა პირობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იმ შემთხვევაში, თუ საორთქლმავლო და სავაგონო უბნის, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციის ხელმძღვანელი პერსონალი არ შეასრულებს გზის უფროსის განკარგულებებს და არ უზრუნველყოფს პირობებს მატარებლების ნორმალური მოძრაობისათვის, რაიონის უფროსს, ამის შესახებ გზის უფროსისა ან სათანადო დარგის უფროსისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინების გარდა, შეუძლია თვითონ დაადოს დამნაშავეებს ადმინისტრატიული სასჯელი იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებსაც მას ანიჭებს წესდება დისციპლინის შესახებ რკინისგზის ტრანსპორტზე. რაიონის უფროსი სავსებით თავის შეხედულებისამებრ იყენებს გეგმის ფარგლებში რაიონისათვის განსაზღვრულ სახსრებს და საექსპლოატაციო რაიონის ყველა ფინანსიურ-მატერიალურ საშუალებას.

6 რაიონის უფროსი გზის უფროსს დასამტკიცებლად ურდგენს კლასგარეშე და პირველი კლასის სადგურების უფროსებს და რაიონის ინსპექტორებს. რაიონის უფროსი უშუალოდ ნიშნავს კლასგარეშე და პირველი კლასის სადგურების უფროსთა მოადგილეებს, დანარჩენი კლასების სადგურების და ასაქცევების ყველა უფროსს და მათ მოადგილეებს.

7 ხაზის ორგანიზაციების, ძირითად დეპოს, სავაგონო უბნის, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციების მიმართ გზის უფროსის როლის გაძლიერებასა და რაიონების ფუნქციების მხოლოდ და მხოლოდ მატარებლების მოძრაობის (ექსპლოატაციის) დარგში მუშაობით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ჩატარდეს რაიონების რეორგანიზაცია, გაუქმდეს რაიონებში ახლა არსებული შემდეგი განყოფილებანი:

ა) წევის განყოფილება;
ბ) ლიანდაგის განყოფილება;
გ) კავშირგაბმულობის განყოფილება;
დ) კომუნალური განყოფილება;
ე) აღრიცხვა-განაწილების განყოფილება;
ვ) შრომის განყოფილება;
ზ) მოძრაობის უშიშროების ბიურო.

8 დაწესდეს რაიონის შემდეგი სტრუქტურა:

ა) რაიონის უფროსი, იგივე ექსპლოატაციის უფროსი'

ბ) რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსი'

გ) რაიონის უფროსის ორი თანაშემწე (ერთი ტექნიკური მეორე კომერციული მუშაობის დარგში);

დ) ინსპექტორები ორთქლმავლების, ვაგონების, ლიანდაგის, კავშირგაბმულობის,' მუშათა მომარაგების ხაზით, 1-3 თითოეული დარგისათვის, რაიონის სიდიდის მიხედვით;

ე) რაიონის კანტორა და ნაწილები: სატვირთო, სამგზავრო, კომერციული, სააღრიცხვო-ფინანსიური, სამობილიზაციო, ტექნიკური, კონდუქტორთა ბრიგადების გამგე.

საერთო შტატი რაიონში (დისპეტჩერთა აპარატის და პოლიტგანყოფილების შტატის გამოკლებით) არ უნდა აღემატებოდეს პირველი კატეგორიის რაიონისათვის 86, მეორისათვის—76 და მესამისათვის 52.

რაიონებში ახლა არსებული საერთო შტატების—17.860-ის ნაცვლად დაწესდეს საერთო შტატი რაიონებში 8.840 (დისპეტჩერების, პოლიტგანყოფილებების და მუშათა მომარაგების განყოფილებების გამოკლებით).

IV. ძირითად საორთქლმავლო დეპოს მმართველობა

1 გაუქმდეს დეპოში ახლა არსებული შემდეგი თანამდებობანი და ბიუროები:

ა) დეპოების უფროსთა თანაშემწეებისა ტექნიკურ ნაწილში;

ბ) დეპოს უფროსის თანაშემწის მასობრივი მუშაობის ხაზით (საწარმოო თათბირების და მუშათა წინადადებების დარგში) და გადაეცეს ეს ფუნქციები დეპოს უფროსს და ადგილკომის თავმჯდომარეს.

გ) დეპოს უფროსის თანაშემწისა მომარაგების ხაზით,

დ) ტექნიკურ მეცადინეობათა ინჟინრის, შრომის ეკონომიკის ბიუროს ინჟინრის, ტექნორმირების ინჟინრის, ტექპროპაგანდის ინსტრუქტორის, და გადაეცეს ეს მუშაობა დეპოს უფროსთან არსებულ ტექბიუროს;

ე) ინსტრუქტორებისა—ორთქლმავლების მიღების დარგში;

ვ) შემცირდეს მემანქანე-დამრიგებლების რაოდენობა 50 პროცენტით და გადაყვანილ იქნან ისინი სამგზავრო მუშაობაზე მემანქანეებად;

2 დაწესდეს შემდეგი ტიპიური სტრუქტურა ძირითად დეპოსათვის:

ა) დეპოს უფროსი;

ბ) დეპოს უფროსის მოადგილე (ინჟინერი);

გ) მოეწყოს დეპოს უფროსთან ტექნიკური ბიურო 3—5 ინჟინრის და ტექნიკოსის შემადგენლობით ტექნიკური საკითხების დასამუშავებლად.

დ) დაწესდეს საორთქლმავლო რემონტის ოსტატების თანამდებობანი რემონტის სპეციალური სახეების მიხედვით—(საქვაბო, ამწევი და სხვა), ახლა არსებული ერთი ოსტატის ნაცვლად. გაუქმდეს დეპოს მონტიორების თანამდებობანი და მათ ნაცვლად შემოღებულ იქნას უშუალოდ ოსტატისადმი დაქვემდებარებულ ბრიგადირების თანამდებობანი. მონტიორები გადაყვანილ იქნან ბრიგადირებად და ოსტატებად, მათი კვალიფიკაციის მიხედვით'

ე) დაექვემდებაროს ძირითად დეპოს უფროსს, მოცემული წევის უბნის ფარგლებში, მოძრავი დეპოები, წყალით მომარაგება, თბოტექნიკა და ელექტროსადგურები'

ვ) ძირითადი დეპოების უფროსებად ინიშნებიან უმთავრესად ინჟინრები, ტექნიკოსები და პრაქტიკოსები, რომელნიც აღჭურვილი არიან საკმაო ცოდნით საორთქლმავლო და სავაგონო მეურნეობის დარგში და რომელთაც აქვთ ადმინისტრატიულ-ორგანიზაციული გამოცდილება.

V. სავაგონო მეურნეობის უბნის მმართველობა

1 გამოიყოს მთელი სავაგონო საქმე საორთქლმავლო დეპოს გამგებლობიდან და მოეწყოს სავაგონო მეურნეობის დამოუკიდებელი უბნები, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარებიან გზის სამმართველოს სავაგონო დარგს.

2 დაწესდეს უბნის შემდეგი სტრუქტურა:

ა) სავაგონო უბნის უფროსი—იგივე სავაგონო დეპოს უფროსი.

ბ) მოადგილე—ინჟინერი ან გამოცდილი ტექნიკოსი ვაგონების დარგში.

გ) ტექნიკური ბიურო (3—5 კაცი).

დ) სავაგონო ოსტატები (სამგზავრო და სატვირთო—სხვადასხვა სახის რემონტისათვის).

ე) ბრიგადირები (სპეციალობის მიხედვით).

ვ) მატერებელთა ბრიგადების (გამყოლები და მზეთავები) უფროსი.

ზ) უბნის უფროსის კანტორა.

VI. სადგურის მმართველობა

1 გაუქმდეს პირველი კლასის სადგურებზე ამჟამად არსებული შემდეგი თანამდებობანი და ბიუროები.

ა) სადგურის უფროსის მოადგილე მასობრივი მუშაობის ხაზით (საწარმოო თათბირების და მუშათა წინადადებების ხაზით), ეს ფუნქციები გადაეცეს სადგურის უფროსს და ადგილკომის თავმჯდომარეს.

ბ) სადგურის უფროსის უფროსი თანაშემწეები.

გ) შრომის ეკონომიკის ბიურო, ამასთან ნორმების და შეფასებების დაწესების მუშაობა დაეკისროს სადგურის უფროსს.

დ) გამომგონებლობის ბიურო, ეს სამუშაო დაეკისროს სადგურის უფროსს და მის მოადგილეებს სპეციალობის მიხედვით.

ე) მარშრუტიზაციის ბიურო, ეს სამუშაო დაეკისროს სადგურის უფროსის მოადგილეს ტექნიკურ ნაწილში და სადგურის ცვლათა მორიგეებს.

ვ) რწმუნებულების ტექნიკური პროპაგანდის დარგში.

ზ) ბუხჰალტერია, ამასთან გადაყვანილ იქნას სადგური მტკიცე ხარჯთაღრიცხვაზე.

2 დაწესდეს პირველი კლასის სადგურის შემდეგი სანიმუშო სტრუქტურა:

ა) სადგურის უფროსი.

ბ) სადგურის უფროსის ორი მოადგილე, მათ შორის ერთი ტექნიკურ ნაწილში (ინჟინერი ან ტექნიკოსი საწარმოო სტაჟით), ხოლო მეორე—კომერციულ ნაწილში.

გ) სადგურის დისპეტჩერები—თითო კაცი ცვლაში.

დ) სადგურის მორიგეები ცალკეული პარკების მიხედვით.

ე) მატარებლების შემდგენელნი ცალკეული პარკების მიხედვით.

ვ) საბარგო კანტორის გამგე.

ზ) საქონლის ეზოს ზედამხედველი.

ი) მწონავები სატვირთო ოპერაციების რაოდენობის და მოცულობის მიხედვით.

თ) ერთი-ორი ინჟინერი ან ტექნიკოსი სადგურის უფროსთან ტექნიკური საკითხების დასამუშავებლად.

კ) სადგურის უფროსის კანტორა.

წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს დააწესოს რკინის გზების ქსელზე ყველა დანარჩენი სადგურის სტრუქტურა პირველი კლასის სადგურის სტრუქტურასთან შეფარდებით.

VII. ლიანდაგის დისტანციის მმართველობა

1 გაუქმდეს სალიანდაგო დისტანციებზე ამჟამად არსებული შემდეგი თანამდებობანი და ბიუროები:

ა) დისტანციის უფროსის მოადგილე;

ბ) დისტანციის უფროსის თანაშემწე მასობრივი მუშაობის ხაზით;

გ) შრომის ეკონომიკის ბიურო, ამასთან ნორმების და შეფასების დაწესების მუშაობა დაეკისროს დისტანციის უფროსს და გზის ოსტატებს. დისტანციის უფროსს ნება ეძლევა იყოლიოს ერთი ტექნიკური მუშაკი ნორმირების დარგში სამუშაოდ;

დ) საგამომგონებლო ბიურო, ეს სამუშაო დაეკისროს დისტანციის უფროსს და გზის ოსტატებს თავისი მუშაობის უბნებზე.

ე) ტექნიკური პროპაგანდის ბიურო, ამასთან მუშაობა დისტანციის მუშაკთა ტექნიკური მომზადების დარგში დაეკისროს დისტანციის უფროსს და გზის ოსტატებს.

2 დაწესდეს ლიანდაგის დისტანციის შემდეგი სანიმუშო სტრუქტურა:

ა) დისტანციის უფროსი,

ბ) გზის უფროსი ოსტატი,

გ) შენობათა ზედამხედველი (იგივე დისტანციის უფროსის თანაშემწე სამოქალაქო ნაგებობათა ხაზით).

დ) გზის ოსტატები დისტანციების მანძილის მიხედვით.

ე) გზის ოსტატების თანაშემწეები.

ვ) ბრიგადები ლიანდაგის დარგში.

ზ) ხიდების ოსტატი.

მსხვილ სარკინიგზო კვანძებზე მოეწყოს სპეციალური საბინაო დისტანციები და ისინი უშუალოდ დაუქვემდებარდნენ გზის სალიანდაგო დარგის უფროსს.

დისტანციების უფროსები უმთავრესად უნდა ინიშნებოდნენ საგზაო-სამშენებლო სპეციალობის ინჟინერთა შემადგენლობიდან, რომლებსაც აქვთ საგზაო-სამშენებლო მუშაობის პრაქტიკა და ადმინისტრატიულ-ორგანიზაციული ნიჭი.

VIII. სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დისტანციის მმართველობა

1 გაუქმდეს სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დისტანციებზე ამჟამად არსებული შემდეგი თანამდებობანი და ბიუროები;

ა) სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსის თანაშემწე მასობრივი მუშაობის ხაზით.

ბ) ინსტრუქტორი ტექნიკური პროპაგანდის დარგში, ამასთან მუშაობა სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დისტანციის მუშაკთა ტექნიკური მომზადების მხრივ დაეკისროს დისტანციის უფროსს და ტექნიკურ პერსონალს სპეციალობის მიხედვით (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების, კავშირგაბმულობის სპეციალობის მიხედვით).

2 დაწესდეს სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დისტანციის შემდეგი სანიმუშო სტრუქტურა:

ა) დისტანციის უფროსი,

ბ) დისტანციის უფროსის თანაშემწე (ინჟინერი-სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტი),

გ) რევიზორ-ინსტრუქტორი,

დ) კავშირგაბმულობის ინჟინერი და ტექნიკოსი,

სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დისტანციების უფროსები უმთავრესად ინიშნებიან ინჟინერთა ან იმ პრაქტიკოსთა შემადგენლობიდან, რომლებსაც აქვთ საკმაო ტექნიკური ცოდნა სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დარგში და ადმინისტრატიულ-ორგანიზაციული გამოცდილება.

IX. დეპოს სავაგონო უბნის, სადგურის და დისტანციის უფროსის შესახებ

1 სავაგონო უბნის დეპოს, სადგურის, დისტანციის უფროსი წარმოადგენს სამუშაოების ერთპიროვნულ სრულუფლებიან ხელმძღვანელს, იგი უშუალოდ პასუხისმგებელია გეგმის შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით და ანხორციელებს მთელი სამუშაოების ოპერატიულ ხელმძღვანელობას დეპოში, სავაგონო უბანზე, სადგურებზე და დისტანციებზე. ამასთან თვალყურს ადევნებს დეპოს, სადგურების, დისტანციების ტექნიკურ მოწყობილობათა მდგომარეობას და მათ სწორად გამოყენებას.

2 სავაგონო უბნის დეპოს, სადგურის, დისტანციის უფროსს შესაფერისად ემორჩილებიან ყველა, როგორც მუდმივი, ისე დროებითი აგენტები და მუშები.

3 სავაგონო უბნის დეპოს, სადგურის, დისტანციის უფროსი აწარმოებს ყველა მუშაკის მიღებას და დათხოვნას, გარდა შემდეგი მუშაკებისა:

დეპოში—დეპოს უფროსის მოადგილე, მოსახმარებელ დეპოს უფროსები, დეპოს ოსტატები; სავაგონო უბანში—სავაგონო ოსტატების უფროსის მოადგილე; სადგურებზე — სადგურის უფროსის მოადგილეები, სადგურის დისპეტჩერები, სადგურის მორიგეები და საბარგო კანტორის გამგე; ლიანდაგის დისტანციის ხაზით—გზის უფროსი ოსტატები და ხიდების ოსტატი; კავშირგაბმულობის დისტანციის ხაზით—დისტანციის უფროსის თანაშემწე (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტი ინჟინერი), რევიზორ-ინსტრუქტორი და კავშირგაბმულობის ინჟინერი. ზემოჩამოთვლილ მუშაკებს ნიშნავენ და სამსახურიდან ხსნიან გზის დარგების უფროსები დეპოს, სადგურების და დისტანციების უფროსების წარდგენით.

4 სავაგონო უბნის დეპოს, სადგურის და დისტანციის უფროსი აწესებს სამუშაოების ნორმებს და შეფასებას, უნიშნავს ჯილდოს დეპოს, სადგურის, დისტანციის აგენტებს და მუშებს ფონდების ფარგლებში და გზის უფროსის მითითების თანახმად.

5 სავაგონო უბნის დეპოს, სადგურის, დისტანციის უფროსი ვალდებულია აწარმოოს ბრძოლა სამუშაო დღის გამცდენების, მოხეტიალეების, წამგლეჯების და რკინის გზის მეურნეობის სხვა დეზორგანიზატორების წინააღმდეგ და დაითხოვოს ისინი შინაგან განაწესთან შეფარდებით.

6 სავაგონო უბნის დეპოს, სადგურის, დისტანციის უფროსი უზრუნველყოფს მოძრაობის უშიშროებას თავის მუშაობის უბნების ფარგლებში და მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ მუშაობისათვის.

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭო და საკ კ: პ: (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ გზათა სახალხო კომისარიატს:

1 ჩაატაროს ზემოაღნიშნული ღონისძიებანი დეპოს, სადგურების, დისტანციების, გზების რაიონების და გზათა სახალხო კომისარიატის მმართველობის ორგანოების გარდასაქმნელად მიმდინარე წლის პირველ აგვისტოსათვის.

2 ამავე ვადისათვის (1-ლი აგვისტო) გადაიყვანოს ხაზზე ინჟინერო-ტექნიკურ მუშაკთა და სამეურნეო მუშაკთა საგრძნობი ნაწილი გზების რაიონების და გზათა სახალხო კომისარიატის აპარატებიდან ხაზზე ძირეული საწარმოო რგოლების—დეპოს, სადგურების, დისტანციების გასამტკიცებლად.

აწარმოოს საინჟენერო-ტექნიკურ მუშაკთა გადაყვანა არა საერთო კამპანიის წესით, არამედ კვალიფიციური მუშაკების გულდასმით პერსონალური შერჩევის გზით, და უზრუნველყოს ისინი ადგილზე ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით.

3 გზათა სახალხო კომისარიატმა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურმა სამმართველომ სამი თვის ვადაში გადასინჯონ ანგარიშგების ყველა ფორმა, გადაჭრით შეამცირონ ისინი და დასტოვონ მხოლოდ ისეთი სტატისტიკური და ოპერატიული ანგარიშგება, რაც აბსოლუტურად საჭიროა გზების მუშაობისათვის.

პასუხისმგებლობა ამ დადგენილების თავის დროზე და ზუსტად განხორციელებისათვის დაეკისროს გზათა სახალხო კომისარს და გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტგანყოფილებას, ხოლო გზებზე—გზის უფროსებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივანი—ი. სტალინი.

რკინისგზის ტრანსპორტზე ხელფასის და შრომის ნორმირების სისტემის გარდაქმნის შესახებ

საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ დამტკიცებულ იქნას გზათა სახალხო კომისარიატის შემდეგი გადაწყვეტილებანი რკინის გზის ტრანსპორტზე ხელფასის და შრომის ნორმირების სისტემის გარდაქმნის შესახებ, მიღებული თანახმად ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამი ივლისის დადგენილებისა „რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ".

ხელფასის და შრომის ნორმირების სისტემის გაუმჯობესების დარგში

1 გაუქმდეს გამომუშავების და შეფასებათა ნორმების უკიდურესობამდე მიყვანილი მრავალრიცხოვანება და დანაწევრება, რისთვისაც დამუშავდეს და შემოღებულ იქნას ტიპიური ნორმების მცირე რაოდენობა ორთქლმავლების და ვაგონების რემონტის გამსხვილებული მაჩვენებლების მიხედვით: ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დარგებში—1933 წლის პირველი ნოემბრისათვის, ხოლო ექსპლოატაციის დარგში — პირველ აგვისტოსათვის, გაუქმდეს რა ამდროისათვის ცალკე გზების და დარგების მიხედვით გამოცემული სანორმო ცნობარები.

2 გაუქმდეს არსებული სატარიფო-ნორმავი ბიუროები და დაეკისროს უშუალო ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა ტექნიკური ნორმირებისათვის სათანადო სამეურნეო ხელმძღვანელებს. გამომუშავების ნორმები დააწესონ, ტიპურ ნორმებთან და სატარიფო შეთანხმებასთან შეფარდებით, ორთქლმავლების და ვაგონების დარგში—საამქრო ოსტატებმა, ლიანდაგის დარგში—გზის ოსტატებმა, კავშირგაბმულობის დარგში — ელექტრო-მექანიკოსებმა, მოძრაობის დარგში — სადგურების უფროსებმა და დაამტკიცონ შესაბამისად დეპოების, სავაგონო უბნების, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციების, რაიონების უფროსებმა. ნორმების და შეფასებათა დაწესების და გამოყენების სისწორეზე კონტროლის განსახორციელებლად, დეპოების, სავაგონო უბნების, სადგურების, დისტანციების და რაიონების უფროსებმა თავის განკარგულებაში იყოლიონ 1—2 საკონტროლო მნორმავი მეტარიფე.

3 უფლება მიეცეს საამქროთა ოსტატებს, დეპოების, სავაგონო უბნების, სადგურების, დისტანციების უფროსებს, კონკრეტული პირობების მიხედვით ხელფასის დამტკიცებული ფონდების და თვითღირებულების დარგში მოცემულ დავალებათა ფარგლებში, გაადიდონ ან შეამცირონ გამომუშავების ნორმები 10 პროცენტამდე, აგრეთვე დააწესონ გამომუშავების და შეფასების ნორმები ერთდროულ სამუშაოებისათვის, რაც გათვალისწინებული არ არის ტიპური და დამტკიცებული ნორმებით.

4 შემდგენელთა ბრიგადებისათვის თითოეულ სადგურზე დაწესდეს შეფასებათა არა უმეტეს 5-6 ნორმისა, ამასთან მიეცეს უფლება ლიანდაგის მორიგეებს, მუშაობის თავისებურებათა მიხედვით, შესცვალონ შეფასებანი 10 პროცენტამდე ამა თუ იმ მხრივ.

შრომის პროგრესიულ-პრემიალური ანაზღაურების დარგში

1 დამხარისხებელ და განმკარგულებელ სადგურებზე მუშათა გამძღოლი ჯგუფებისათვის, რომლებიც ასრულებენ სამანევრო მუშაობას (საორთქლმავლო სამანევრო ბრიგადები, შემადგენლები, გადამბმელები, მემუხრუჭე-მეისრენი და მეისრენი), დაწესდეს გადიდებული პროგრესიული შეფასებანი: ნორმის გადამუშავებისათვის. 10 პროცენტამდე—1,5-ჯერ, ხოლო 10 პროცენტზე ზევით 2-ჯერ, დაწყებული გადამუშავების პირველი პროცენტიდან. დაწესდეს, რომ შრომის პროგრესიული ანაზღაურების გამოანგარიშება წარმოებს თვიური ხელფასის შედეგების მიხედვით (შვებულების და ავადმყოფობის დროის გამოკლებით).

2 შეიქმნას გზების სამმართველოებთან სპეციალური საპრემიო ფონდი (ხელფასის ფონდის დაახლოვებით 1-2 პროც.) წარმოებაში მომუშავე მუშების და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის დასაჯილდოვებლად (დეპოს, სავაგონო პარკის, სადგურის, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ინჟინრები, ოსტატები) მუშაობის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისა, გეგმის ცალკე მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის — დეპოსა, სავაგონო უბანსა, სადგურსა და დისტანციაში ამ გეგმის მთლიანად შესრულების პირობებში, სადგურებზე ვაგონების გაცდენის ნორმის შემცირებისათვის, დაზიანებული ორთქლმავლების და ვაგონების პროცენტის შემცირებისათვის, რემონტის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, რემონტში ორთქლმავლების და ვაგონების გაჩერების ვადების შემცირებისათვის, ლიანდაგის ხარისხობრივი მდგომარეობისათვის და სხვ.

3 ორთქლმავლების რემონტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მტკიცედ იქნას დაცული ს.ს.რ. კავშირის, ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება, წუნის შემთხვევაში მუშაობის შემცირებული რაოდენობით ანაზღაურების და მასალების გაფუჭებისათვის მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

დაწესდეს, რომ საორთქლმავლო ბრიგადები, შეკეთებული ორთქლმავლის მიღებისას მათ მიერ წუნის გამოაშკარავების შემთხვევაში, ღებულობენ პრემიას დაწუნებული დეტალების რემონტის ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით. ორთქლმავლების სახელდახელო რემონტზე მომუშავე ბრიგადებისათვის დაწესდეს პრემია თვიური ხელფასის 15 პროცენტის რაოდენობით, თუ ისინი მთელი თვის განმავლობაში უწუნოდ და უნაკლოდ აბარებენ მათ მიერ შეკეთებულ ორთქლმავლებს.

4 თავისი ბრიგადის მუშაობის კარგი ხელმძღვანელობისათვის, რემონტის დროიანად შესრულებისა და ხარისხზე მეთვალყურეობის გაწევისათვის დაწესდეს ორთქლმავლების და ვაგონების რემონტზე მომუშავე საკომპლექსო (გაერთიანებული) ბრიგადების ბრიგადირებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება სატარიფო განაკვეთის 20 პროც., რაოდენობით.

ლიანდაგის ბრიგადირები დაჯილდოებულ იქნან წელიწადში ორჯერ თვიური ხელფასის რაოდენობით ლიანდაგის წესიერად შენახვისა და კეთილხარისხოვანი რემონტისათვის.

სატარიფო განაკვეთის დარგში

გადიდდეს თვიური სატარიფო განაკვეთები შემდეგ პროფესიებს;

1 პირველი თანრიგის სამატარებლო მზეთავებს—170 მანეთი, არსებული 105 მანეთის ნაცვლად, მეორე თანრიგისას—140 მანეთი, არსებული 105 მანეთის ნაცვლად.

2 სამგზავრო მატარებლების მთავარ კონდუქტორებს—200-250 მანეთი, არსებული 145 მანეთის ნაცვლად, სატვირთო მატარებლებისას — 160-180 მანეთი, არსებული 150 მანეთის ნაცვლად.

დაწესდეს, რომ სანიმუშო მუშაობისათვის მთავარ კონდუქტორებს ეძლევათ ჯილდო ნახევარ-ნახევარი წლობით პირადად გზების უფროსების მიერ თვიური განაკვეთის რაოდენობით.

3 მატარებლების შემდგენლებს—170-200 მანეთი, არსებულ 137-169 მანეთის ნაცვლად.

4 მატარებელთა გადამბმელებს—135-155 მანეთი, არსებული 115-130 მანეთის ნაცვლად.

5 მემუხრუჭე-მეისრეებს — 125-145 მანეთი, არსებულ 102-115 მანეთის ნაცვლად.

6 უფროს მეისრეებს—140-150 მანეთი, არსებულ 113 მანეთის ნაცვლად.

7 დამხარისხებელ და განმანაწილებელ სადგურების ყველაზე უფრო პასუხსაგებ პოსტებზე მომუშავე მეისრეებს — 102-115 მანეთი, არსებულ 82-95 მან. ნაცვლად.

8 დეპოს კვალიფიციურ მუშებს სატვირთო და სამგზავრო ვაგონების რემონტზე მომუშავეებს: პირველი კატეგორიის გზებისათვის — პირველ თანრიგის განაკვეთი 87 მანეთი 50 კაპ., არსებული 79 მან. 50 კაპ.—83 მანეთის ნაცვლად.

მეორე კატეგორიის გზებისათვის — პირველი თანრიგის განაკვეთი 74 მან. 25 კაპ.

მესამე კატეგორიის გზებისათვის — პირველი თანრიგის განაკვეთი 69 მან. 50 კაპ., არსებული 63 მან. 25 კაპ.—66 მან. 10 კაპ. ნაცვლად.

საინჟენერო-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის და დაჯილდოების დარგში

1 დაწესდეს, რომ ინჟენერი, რომელიც მუშაობს წარმოებაში სადგურზე, დეპოში, სავაგონო უბანზე, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციაზე, უნდა ღებულობდეს ხელფასს 15 პროცენტით მეტს, ვიდრე კვალიფიკაციის მიხედვით მისი თანაბარი მუშაკები, რომლებიც მუშაობენ რაიონების, გზების სამმართველოების და გზათა სახალხო კომისარიატის აპარატებში.

2 დაწესდეს შემდეგი გადიდებული თანამდებობრივი განაკვეთები იმ ინჟენერებისა და ტექნიკოსებისათვის, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ დეპოში, სავაგონო უბნებზე სადგურებზე, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციებზე და სარემონტო ქარხნებში.

საორთქლმავლო დეპო

პირველი თანრიგის ძირითად დეპოს უფროსს 600—700 მანეთი, 450—500 მანეთის ნაცვლად.

მეორე თანრიგის ძირითად დეპოს უფროსს 500—600 მანეთი, 410—500 მანეთის ნაცვლად.

მესამე თანრიგის ძირითად დეპოს უფროსს 425—500 მანეთი, 375—450 მანეთის ნაცვლად.

პირველი თანრიგის დეპოს უფროსის მოადგილეს 550—650 მანეთი, 400—450 მანეთის ნაცვლად.

მეორე თანრიგის დეპოს უფროსის მოადგილეს 450—550 მანეთი, 350—425 მანეთის ნაცვლად.

მესამე თანრიგის დეპოს უფროსის მოადგილეს 400—450 მანეთი, 330—375 მანეთის ნაცვლად.

პირველი თანრიგის დეპოს ოსტატს—450—550 მანეთი, 360—425 მანეთის ნაცვლად.

მეორე თანრიგის დეპოს ოსტატს 400—450 მან., 325—370 მანეთის ნაცვლად.

მესამე თანრიგის დეპოს ოსტატს 350—400 მან. 300—340 მანეთის ნაცვლად.

პირველი თანრიგის დეპოს მორიგეს 400—450 მან., 275—335 მანეთის ნაცვლად.

მეორე თანრიგის დეპოს მორიგეს 350—400 მან., 275—335 მან. ნაცვლად.

მესამე თანრიგის დეპოს მორიგეს 300—350 მან., 230—280 მანეთის ნაცვლად.

მემანქანე დამრიგებელს 400—450 მან., 275—335 მანეთის ნაცვლად.

სავაგონო მეურნეობის უბანი

პირველი თანრიგის სავაგონო უბნის უფროსს 600—700 მანეთი.

მეორე თანრიგის სავაგონო უბნის უფროსს 500—600 მან.

მესამე თანრიგის სავაგონო უბნის უფროსს 425—500 მან.

პირველი თანრიგის სავაგონო უბნის უფროსის მოადგილეს 550—650 მან.

მეორე თანრიგის სავაგონო უბნის უფროსის მოადგილეს 450—550 მან.

მესამე თანრიგის სავაგონო უბნის უფროსის მოადგილეს 400—450 მან.

პირველი თანრიგის სავაგონო უბნის ოსტატს 450—550 მან., 290—375 მანეთის ნაცვლად.

მეორე თანრიგის სავაგონო უბნის ოსტატს 400—450 მან. 260—340 მანეთის ნაცვლად.

მესამე თანრიგის სავაგონო უბნის ოსტატს 350—400 მანეთი, 210—320 მანეთის ნაცვლად.

სადგური

კლასგარეშე სადგურის უფროსს 600—700 მანეთი, 500—550 მანეთის ნაცვლად.

პირველი კლასის სადგურის უფროსს 500—600 მანეთი, 425—450 მანეთის ნაცვლად.

მეორე კლასის სადგურის უფროსს 375—450 მანეთი, 325 მანეთის ნაცვლად.

კლასგარეშე სადგურის უფროსის მოადგილეს 500—600 მანეთი, 375—400 მანეთის ნაცვლად.

პირველი კლასის სადგურის უფროსის მოადგილეს 400—500 მან., 325—350 მანეთის ნაცვლად.

მეორე კლასის სადგურის უფროსის მოადგილეს 300—350 მანეთი, 265 მანეთის ნაცვლად.

კლასგარეშე სადგურის დისპეტჩერს 350—400 მანეთი 300—325 მანეთის ნაცვლად.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

„საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ღერძი იყო და არის მშვიდობიანობა"

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

პარიზი, 7 ივლისი. ამხ. ლიტვინოვმა დღეს პრესის წარმომადგენლებს გადასცა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ პოლიტიკის ღერძი ყოველთვის იყო და არის მშვიდობიანობა. ვინაიდან საბჭოთა კავშირი არავითარ იმპერიალისტურ მიზანს არ ისახავს, ოდნავადაც არ ეტანება ახალ ტერიტორიებს თავისი დაწესებული საზღვრების გარედ, არასასურველად და თავისი ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგოდ თვლის მის მიერ სხვა ხალხთა დამონებას და მტკიცედ დგას მათი სრული დამოუკიდებლობის საფუძველზე, — მას ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანს ომი და მარტო ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ იგი ომს გაურბოდეს. ამას უნდა დაემატოს, რომ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლის გაღება უწევს მშრომელებს, და იცავს რა მშვიდობიანობას, საბჭოთა კავშირი რჩება ყველა მშრომელის ინტერესების სადარაჯოზე.

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ახლანდელი საერთაშორისო ურთიერთობის დროს ომი, რომელ კონტინენტზედაც არ უნდა ატყდეს იგი, არ შეიძლება ლოკალიზებულ იქნას და თითქმის არც ერთი ქვეყანა არ შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ იგი არ იქნება ჩაბმული ომში, რომელიც მას არ დაუწყია. ამიტომ, საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია არა მარტო იმაში, რომ შეინარჩუნოს თავისი საკუთარი მშვიდობიანი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებაშიც.

ამიტომ იმათთვის, ვინც შეითვისა საბჭოთა პოლიტიკის ეს ძირითადი დებულებანი, არაფერ უნდა იყოს გასაკვირალი და მოულოდნელი საბჭოთა მთავრობის ამა თუ იმ დიპლომატიურ ნაბიჯში, რომელიც ამ დებულებებითაა ნაკარნახევი.

ჩვენ აგრეთვე ყოველთვის ვესალმებოდით და მხარს უჭერდით სხვა სახელმწიფოთა ყოველ წამოწყებას, რომელიც ეთანხმებოდა საბჭოთა კავშირის მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ. უფრო მეტი, ჩვენი აზრით, საერთაშორისო მდგომარეობა უკანასკნელ წლებში იმდენად გართულებული, არეულ-დარეული და საშიში იყო, რომ წამოწყებათა აღმოცენებისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით პრინციპით, „რასაც აკეთებ, მალე გააკეთე". ასე, მაგალითად, თავის დროზე ჩვენ არა თუ შევუერთდით დაუყოვნებლივ ბრიან-კელოგის პაქტს, არამედ იგი ძალაში შევიყვანეთ ჩვენსა და უახლოეს მეზობლებს შორის დიდი ხნით ადრე, მანამდე, სანამ იგი ძალაში შევიდოდა სხვა სახელმწიფოთა შორის. ასევე, როცა დავრწმუნდით ჟენევაში აგრესორის განსაზღვრის შესახებ ჩვენს მიერ წარდგენილი წინადადების გატარების სიძნელეში, ჩვენ საქმე დავაჩქარეთ და ეს წინადადება გადავაქციეთ შეთანხმების საგნად ჩვენსა და იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც ეს მოისურვეს.

იმედი გვქონდა, რომ შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდებოდენ ჩვენ მიერ დადებულ კონვენციებს. მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას სულ უფრო და უფრო გებულობენ საფრანგეთში. ამ გაგების გარეგნული გამოხატულება იყო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტზე ხელის მოწერა, ხოლო შემდეგ მისი რატიფიკაცია. ჩვენ მოხარული ვართ აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ წარმატებით დამთავრებულ ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს, რომელთა მიზანი იყო მშვიდობიანობის განმტკიცება საბჭოთა კავშირსა და უახლოეს ქვეყნებს შორის, თანაგრძნობით შეხვდენ საფრანგეთის მთავრობა და პოლიტიკური წრეები და, ალბად ასევე შეხვდება ამ ნაბიჯების მშვიდობიანობის ყველა მომხრე. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთ გაგების შემდგომ ზრდას.

მომქმედ თუ ნახევრადმომქმედ საერთაშორისო კონფერენციებისაგან, როგორიც ჩანს, მეტად პრობლემატიურ შედეგებს უნდა მოველოდეთ, ხოლო რაც უფრო ნაკლები იმედების დამყარება შეიძლება მათზე, მით უფრო უნდა ვეცადოთ დავაახლოვოთ ის სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობიანობის და პოლიტიკური სიწყნარის შენარჩუნებასა და საერთაშორისო ავანტიურების თავიდან აცილებაში.

ჩვენ არა ვართ პოლიტიკურ დაჯგუფებათა მომხრე იმ აზრით, რომ ერთი დაჯგუფების აგრესიობას დაუპირისპირებდეს მეორე დაჯგუფების აგრესიობა. ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ საუკეთესო ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან, რომელიც არა აქვთ არავითარი ზრახვა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ და რომელთა სამშვიდობო პოლიტიკა ეთანხმება ჩვენს საკუთარ პოლიტიკას.

არც ჩვენი პოლიტიკური, არც ჩვენი ეკონომიური ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან საფრანგეთის ინტერესებს, დედამიწის არც ერთ პუნქტში და ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, არ არის არავითარი დაბრკოლება როგორც შემდგომი პოლიტიკური, ისე ეკონომიური დაახლოებისათვის.

მე მოხარული ვიყავი, რომ მომეცა შემთხვევა ერთხელ კიდევ გამეზიარებინა ჩემი შეხედულებანი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის გამოჩენილი ხელმძღვანელებისათვის, რომლებთანაც შეხვედრის ბედნიერება წინადაც მქონია. მე დიდი კმაყოფილება მაგრძნობინა ჩემმა ჩასვლამ საფრანგეთში, ქვეყანაში, რომელსაც თითონ მე და ჩემი ამხანაგები—ყოფილი ემიგრანტები ყოველთვის დიდი სიყვარულით და სიმპატიით ვიგონებთ" (ადს).

დალადიე—საფრანგეთ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 8 ივლისი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დალადიე გამოვიდა რადიკალ-სოციალისტების ბანკეტზე. დალადიემ აღნიშნა წარმატება აგრესორის განსაზღვრისა, რომელიც ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის მთავრობამ. მოაგონა რა დამსწრეებს საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის რატიფიკაცია და სამხედრო ატაშეების გაცვლა-გამოცვლა, დალადიემ აღნიშნა, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ახლა წარმოებს მოლაპარაკება სავაჭრო შეთანხმების შესახებ (ადს).

პირველი კლასის სადგურის დისპეტჩერს 325—350 მანეთი, 300 მანეთის ნაცვლად.

კლასგარეშე სადგურის მორიგეს 350—375 მანეთი, 300 მანეთის ნაცვლად.

პირველი კლასის სადგურის მორიგეს 275—300 მანეთი, 225 მან. ნაცვლად.

მეორე კლასის სადგურის მორიგეს 225—250 მანეთი, 205 მანეთი ნაცვლად.

რ ა ი ო ნ ი

რაიონის უფროსს 600—700 მანეთი, 500—600 მანეთის ნაცვლად.

თანაშემწეებს ექსპლოატაციის დარგში 550—650 მან., 500—600 მანეთის ნაცვლად.

უფროს დისპეტჩერებს 475—550 მან., 410—500 მანეთის ნაცვლად.

დისპეტჩერებს 400—450 მან., 360—390 მან. ნაცვლად.

ლიანდაგის დისტანცია

პირველი თანრიგის დისტანციის უფროსს 600—700 მან., 493—540 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის დისტანციის უფროსს 500—600 მან. 418 მან. ნაცვლად.

მესამე თანრიგის დისტანციის უფროსს 425—500 მან., 372 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის გზის უფროს ოსტატს 450—500 მან. 325 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის გზის უფროს ოსტატს 375—450 მან., 290 მანეთის ნაცვლად.

მესამე თანრიგის გზის უფროს ოსტატს 325-375 მან.

პირველი თანრიგის გზის ოსტატს 350—400 მან., 279 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის გზის ოსტატს 275—350 მან., 253 მან. ნაცვლად.

მესამე თანრიგის გზის ოსტატს 250—275 მან. 227 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის შენობის ზედამხედველს (დისტანციის უფროსის თანაშემწეს სამოქალაქო ნაგებობათა ხაზით) 450—500 მანეთი, 312 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის შენობის ზედამხედველს (დისტანციის უფროსს თანაშემწეს სამოქალაქო ნაგებობათა ხაზით) 375—450 მან., 260 მანეთის ნაცვლად.

მესამე თანრიგის შენობის ზედამხედველს (დისტანციის უფროსის თანაშემწეს სამოქალაქო ნაგებობათა ხაზით) 325—375 მან. 230 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის საბინაო დისტანციის უფროსს 500—600 მან., 456 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის საბინაო დისტანციის უფროსს 450—500 მან., 388 მან. ნაცვლად.

მესამე თანრიგის საბინაო დისტანციის უფროსს 400—450 მანეთი, 344 მანეთის ნაცვლად.

კავშირგაბმულობის დისტანცია

პირველი თანრიგის დისტანციის უფროსს 600—700 მან. 474—520 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის დისტანციის უფროსს 475—550 მან., 408 მან. ნაცვლად.

მესამე თანრიგის დისტანციის უფროსს 380—450 მან., 358 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის დისტანციის უფროსის თანაშემწეს (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ინჟინერს) 450—500 მან. 375—415 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის დისტანციის უფროსის თანაშემწეს (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ინჟინერს) 375—450 მან. 315 მან. ნაცვლად.

მესამე თანრიგის დისტანციის უფროსის თანაშემწეს (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ინჟინერს) 355 მან. 280 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის ელექტრო მექანიკოსს 300—350 მან., 247—275 მან. ნაცვლად.

მეორე თანრიგის ელექტრომექანიკოსს 275 მან., 218 მანეთის ნაცვლად.

ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნები

პრველი თანრიგის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის დირექტორს 600—700, 540—560 მან. ნაცვლად.

პირველის თანრიგის მთავარ ინჟინერს 700—800 მან. 480—600 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის საწარმოო განყოფილების უფროსს 550—650 მანეთი, 480—540 მანეთის ნაცვლად.

პირველი თანრიგის ტექნიკური განყოფილების უფროსს 475—575 მანეთი, 360—470 მანეთის ნაცვლად.

პირველი თანრიგის მთავარ მექანიკოსს 425—525 მან., 320—420 მანეთის ნაცვლად.

პირველი თანრიგის შემკრებ და საქვაბე საამქროს (ქარხნების) უფროსს 500—600 მან., 370—480 მანეთის ნაცვლად.

დანარჩენი საამქროების უფროსებს 425—525 მან., 320—420 მან. ნაცვლად.

პირველი თანრიგის ქარხნების საამქროების უფროსის თანაშემწეებს და ოსტატებს 450 მანეთი, 280—360 მანეთის ნაცვლად.

დაწესდეს თანამდებობრივი განაკვეთები პირველი თანრიგის გზების სამმართველოების დარგების უფროსებისათვის 800—900 მანეთი, 475—500 მანეთის ნაცვლად, მათი მოადგილეებისათვის 500—600 მანეთი, 400—425 მანეთის ნაცვლად.

ხელფასის ზემოაღნიშნული გადიდება გავრცელდეს გზათა სახალხო კომისარიატის ყველა ქარხანაზე, დეპოზე, სავაგონო უბანზე, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის დისტანციებზე, აგრეთვე კლასგარეშე, პირველი და მეორე კლასის სადგურებზე და გატარებულ იქნას ცხოვრებაში ა.-წ. პირველ აგვისტოდან.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივანი—ი. სტალინი.

8. ივლისი 1933 წელი.

დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება ტრანსპორტის შესახებ

ხარკოვი, 8 ივლისი. უკრაინის კომპარტიის (ბ) ც.კ-მა და საკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა გზების და რაიონების პარტორგანიზატორებს, სატრანსპორტო პარტკომებს და პარტუჯრედებს დაუყოვნებლივ ჩაატარონ ღია პარტკრებები ტრანსპორტზე იმ მიზნით, რომ დარაზმონ მუშები და მოსამსახურეები, პირველ რიგში კომუნისტები და კომკავშირელები, საკ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის მიერ ტრანსპორტის შესახებ გამოტანილი დადგენილების დაუყოვნებლივ შესასრულებლად.

ტრანსპორტის პარტორგანიზაციამ სავსებით უნდა გაითვალისწინოს ის წინააღმდეგობა და საბოტაჟი, რომელსაც წააწყდება საკ. კ. პ. (ბ) ც.-კის და საკ. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება დონბასის ნახშირის მრეწველობის შესახებ.

სატრანსპორტო პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან დაუზოგავად ამხილონ და დაუყოვნებლივ აღკვეთონ ოდნავი ცდაც საბოტაჟი გაუწიონ საკ. კ.პ. (ბ) ც.-კის გადაწყვეტილებას, ოდნავი წინააღმდეგობაც კი სპეციალისტების დეპოში სადგურებში, გზის დისტანციაში, კავშირგაბმულობაზე სამუშაოდ გადაყვანის საქმისადმი, ოდნავი წინააღმდეგობა ორგანიზაციულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისადმი რკინის გზის ტრანსპორტის მმართველობის საქმეში და უფრო მაღალი ხელფასის უზრუნველყოფაში მუშებისა და საინჟინერო - ტექნიკური მუშაკებისათვის, რომლებიც უშუალოდ ხაზზე მუშაობენ. სრულიად უკრაინის პროფკავშირთა საბჭომ დაავალა რკინის გზელთა პროფკავშირებს, საოლქო პროფკავშირებს, ქალაქის საბჭოებს უახლოეს 5 დღის განმავლობაში ჩაატარონ სპეციალური პროფდღე, რომელზედაც ყოველმხრივ დამუშავებული და პოპულარიზებული იქნება საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც.-კის გადაწყვეტილება რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ, უზრუნველყონ კრებებზე მუშების და სპეციალისტების მეტი რაოდენობის დასწრება (ადს).

საფრანგეთის გაზეთების გამოძახილი

ამხ. ლიტვინოვის განცხადებაზე

(„იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 8 ივლისი. (ტელეგრაფით). მოგვყავს კიდევ რამდენიმე ციტატა პრესაში გამოქვეყნებულ წერილებიდან ამხ. ლიტვინოვის „უშიშარი, ძლიერ და ნაყოფიერ" განცხადებათა გამო დღევანდელი საუზმის შემდეგ, რომელიც გაიმართა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, სადაც გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის იყვნენ დალადიე, ბონკური, დემონზი, დელბოსი, ტევფიკ რუშტი-ბეი.

ყველა წერილები გამოხატავენ ერთსულოვან კმაყოფილებას. ერთად-ერთი დისონანსის კილო შეაქვს „კომიტედე-ფორჟის" ორგანოს „ჟურნალ დე-დება"-ს, რომლის რედაქტორები, ბრიანის ცნობილი სიტყვა, რომ ვისმართოთ, სწერენ იმავე ფოლადისაგან გაკეთებული კალმებით, რომლიდანაც ზარბაზნებია გაკეთებული".

„ჟურნალ დე-დება"-ს ერთგულ მახვილს ბერნიუს მუდამ შიში იპყრობს, როგორც კი მასთან ახსენებენ სიტყვას „საბჭოები", მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა იერიში ისევ გრძელდება, მაგრამ ეს იერიში ეხლა დიდათ შერბილებულია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გორგის სიკვდილის შემდეგ ბერნიუსი წარმოადგენს იარაღების ქარხნების მეპატრონეთა ოფიციალურ პამფლეტისტს. ბერნიუსი აფრთხილებს საფრანგეთის მმართველ წრეებს ილუზიების წინააღმდეგ ბოლშევიკების პოლიტიკის შესახებ. ბერნიუს არ სჯერა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას კეთილი განზრახვა ამოძრავებდეს. ეჭვს გარეშეა, რომ ზარბაზნებით მოვაჭრეთა ორგანოს ეს ძველი მახვილი ყველაზე უფრო გამოადგება პოლიტიკურ მორალზე ლექციების მკითხველის როლისათვის. დომინიკ „რეპუბლიკ"-ში არცხვენს მას და სწერს:

„ბერნიუს მხოლოდ ავიწყდება, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოები აუქმებდენ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, როცა ამას აიძულებდა მათ საკუთარი ინტერესები. ამის მაგალითი მრავალია. გარდა ამისა, „მაკიაველიზმი" ეხლა კი არ შექმნილა. განა 1914 წელს იტალიამ ჩვენ არ მოგვატყუა? განა 1914 წელს ჩვენ არ მოგვატყუა ბულგარეთმა? განა 1914 წელს რუმინეთმა არ მოატყუა ცენტრალური სახელმწიფოები? ან განა იტალიამ 1915 წელს არ მოატყუა იგივე ცენტრალური სახელმწიფოები? ხოლო იაპონია განა ყოველდღე არ ატყუებს თავის მეზობლებს? მე-18 საუკუნეში ერთ მშვენიერ დღეს, ომის გამოუცხადებლად ინგლისმა დაიწყო ჩვენთან ჩხუბი ერთბაშად მსოფლიოს ყველა ზღვებზე. სადღა არიან პატიოსანი ადამიანები?"

„ვოლონტე" მეთაურში აღტაცებას გამოსთქვამს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების პოლიტიკის ნაყოფით, „რომელსაც სავსებით მართებულად ატარებდა ერიო".

„ამ პოლიტიკამ, სწერს გაზეთი,—ბოლო მოუღო საფრანგეთის არახელსაყრელ დიპლომატიურ მდგომარეობას. ამ პოლიტიკის წყალობით ყველაფერი შეიცვალა: რომთან გვაქვს აშკარა გულითადი დამოკიდებულება, მოსკოვთან გვაქვს სავსებით დადებითი თანამშრომლობა, ვაშინგტონთან სწარმოებს უშუალო მოლაპარაკება, რაც გავლენას ახდენს აგრეთვე ჩვენს დამოკიდებულებაზე ინგლისთან. გაუმჯობესდა დამოკიდებულება ვარშავასთან.

ჟაკ სადული.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება

ბურიატ - მონღოლეთის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკას მისი ავტონომიური არსებობის ათი წლისთავის გამო

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ესალმება ბურიატ - მონღოლეთის ავტონომიური ს. ს. რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს, კომკავშირელებს, კომუნისტებს და ხელმძღვანელებს მისი ათი წლის იუბილეს გამო.

მეფის რუსეთის დაჩაგრული კოლონიიდან ბურიატ - მონღოლეთი, ლენინური ბოლშევიკური პოლიტიკის მეოხებით, გადაიქცა სწრაფად მოზარდ საბჭოთა რესპუბლიკად, რომლის სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი კოლონიალური აღმოსავლეთის ხალხებისათვის წარმოადგენენ მაგალითს და მოწოდებას თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ბურიატ- მონღოლეთის მშრომელ მასებს ენერგიული მუშაობისათვის, რათა განამტკიცონ კოლმეურნეობანი და გადააქციონ ისინი ნამდვილად ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნენი შეძლებულებად, გაშალონ ზრუნვა. მეცხოველეობა საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის ერთ - ერთი ძირითადი ბაზა, გააძლიერონ ბრძოლა კულაკობის და მისი აგენტურის ნაშთებთან.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

„პრავდა"-ს პრესის მიმოხილვა

იზოტოვის მეთოდები აზერბაიჯანის მინდვრებზე

(„ვიშკა"—ა.-კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის ორგანო)

„ვიშკამ" აღნიშნა თავისი არსებობის ხუთი წლის იუბილე. ამ დღეს მოწინავე დამკვრელმა და აქტიურმა მუშკორმა — მბურღავმა რამაზან ეფენდიევმა მიუძღვნა იუბილიარს უჩვეულო სალამი. ნამდვილად რომ ვთქვათ, ეს—სალამი კი არ იყო, არამედ „ნაკაზი". რამაზანმა დასწერა გაზეთისათვის წერილი სადღეისო გადამწყვეტი ლოზუნგის — ახალი ტექნიკის ათვისების—შესახებ. მბურღავი ეფენდიევი — ტექნიკის ათვისების ენტუზიასტი და ნიკიტა იზოტოვის პირადი მეგობარი — მოუწოდებდა ბაქოს ნავთის მუშებს და მათს გაზეთს — იუბილიარს „ვიშკას" ესწავლებინათ კოლმეურნეებისთვის იზოტოვისებურად მუშაობა, შეექმნათ ოსტატობის იზოტოვისეული უნივერსიტეტები აზერბაიჯანის ბამბის მინდვრებზე.

ლოზუნგი მიცემულია. საჭიროა მისი დაუყოვნებლივ გავრცელება აზერბაიჯანის შორეულ, მიყრუებულ სოფლებში. საჭიროა ამ ლოზუნგის ახსნა - განმარტება კონკრეტული ფაქტებითა და მასალებით, მისი დაყვანა კოლმეურნეთა ფართო მასების შეგნებამდე და მათში იზოტოვისებურად მუშაობის სურვილის გაღვივება. რამაზან ეფენდიევის წერილის გამოქვეყნებიდან ორიოდე დღის შემდეგ ბაქოს გაზეთების — „ვიშკას", „ბაკინსკი რაბოჩი"-ს, „ენი - ელის", „კომუნისტი"-ს (თურქული), „აზკოლხოზნიკი"-ს, „კომუნისტის" (სომხ.)—გაერთიანებული ბრიგადები გაემგზავრენ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — იზოტოვის მეთოდების პროპაგანდისათვის. მაგრამ იზოტოვების გზა სოფლად ვარდებით როდია მოფენილი. კულაკები ყველგან აუმხედრდენ იზოტოვის მეთოდებს და დაიწყეს გაფთრებული აგიტაცია დამუშავების კამპანიის წინააღმდეგ. კულაკის ანკესზე ეგება ზოგიერთი კომუნისტი, კომკავშირელი და აგროტექნიკოსი.

„ვიშკა" ამჟღავნებს კულაკებს და ოპორტუნისტებს, პოულობს და გვაჩვენებს რესპუბლიკის საუკეთესო—დამკვრელ მებამბეებს, — რომელნიც თავის ოსტატობაში ადიან ნიკიტა იზოტოვის დონემდე, — გვაჩვენებს სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი ტექნიკის ათვისების გმირებს.

„ვიშკა" გადაჭარბებით არ აფასებს დამკვრელთა პირველი რიგის ამ წარმომადგენლებს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ამხანაგი, რომელსაც ახასიათებს იზოტოვის ფხა, ჯერ კიდევ სავსებით, ბოლომდე ვერ მიხვედრილა იზოტოვის დამკვრელი მუშაობის მეთოდებს. მათ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს თავისი უნარის, თავისი ცოდნის გადაცემა ნაკლებ გამოცდილი მებამბეებისათვის, ამას ისინი სხვათაშორის აკეთებენ. ისმაილ ზარბაგის — აზიზბეკოვის სახელობის კოლმეურნეობის დამკვრელის — მაგალითზე „ვიშკა" აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინება იზოტოველებს: საკოლმეურნეო მინდვრების იზოტოველია არა ის, ვინც მხოლოდ თითონ მუშაობს კარგად, არამედ ის, რომელიც თითონ მუშაობს დაკვრითი წესით, ასწავლის სხვებს გადასცემს მათ თავის გამოცდილებას და შეურიგებლად ებრძვის კლასობრივ მტრებს. ბამბის მინდვრების საუკეთესო დამკვრელ იზოტოველთა გამოვლინებას თან ერთვის დიდი მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობა. იქმნება იზოტოვის მეთოდების შემსწავლელი სკოლა-უბნები. საუკეთესო ტრაქტორისტები, მექანიკოსები, მრწყველები კისრულობენ განსაზღვრულ კოლმეურნეთა სწავლებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მბურღავმა ეფენდიევმა მიმართა „ვიშკას" იზოტოვის მეთოდების აზერბაიჯანის სოფლებში გადატანის შესახებ. უკვე დღეს შეიძლება ითქვას, რომ იზოტოვისებური მოძრაობა იპყრობს აზერბაიჯანის კოლმეურნეობებს. ასეთ დასკვნამდე მივიდა ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელმაც ინახულა მრავალი კოლმეურნეობა. „ვიშკა" —ქალაქის მასობრივი მუშათა გაზეთი—უკვე შორს გასცდა ქალაქის წრეს და გაემართა თურქ კოლმეურნეთა სოფლებისაკენ, რომ აღზარდოს იზოტოვები, დანერგოს იზოტოვის მეთოდები. გაერთიანებული ფრონტით, მთელ რესპუბლიკანურ და რაიონულ ეროვნულ პრესასთან ერთად, „ვიშკას" მიაქვს სოფლად შრომის კომუნისტური მეთოდების დროშა. „ვიშკა" ეროვნულ გაზეთებთან ერთად უშვებს გაერთიანებულ გვერდებს, ბეჭდავს რაიონული და ეროვნული გაზეთების შემცვლელ გვერდებს. „ვიშკას" ინიციატივით დაწყებული საქმე უკვე შორს გასცდა აზერბაიჯანის საზღვრებს. „ვიშკას" ინიციატივას გამოეხმაურენ სხვა რაიონები და გაზეთები (საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი" ჩრდ. კავკასიაში, ბეზენჩუკის სამ.-სატრ. სადგური).

18 ივნისს „უზბეკისტანსკაია პრავდა" ტელეგრაფით იტყობინება ბაქოში, რომ „უზბეკისტანის კოლმეურნეები ძლიერ დაინტერესებული არიან იზოტოვისებური მოძრაობით და აგროგანრიგით საკოლმეურნეო ბრიგადაში". გაზეთი წინადადებას იძლევა მოეწყოს გამოცდილების სოციალისტური გაცვლა - გამოცვლა. ამას წინად „ვიშკამ" მიიღო შემდეგი დეპეშა შეპეტოვკიდან (უსსრ):

„შეპეტოვკის სანაპირო რაიონის გაზეთი „შლიახკოლექტივა" ჩაება თქვენს მიერ დაწყებულ ლაშქრობაში სოციალისტური მიწათმოქმედების იზოტოვთა აღზრდისათვის. ვატარებთ ბაქო - დონბას - გროზნოს შეჯიბრების პოპულარიზაციას. გთხოვთ გადმოგვცეთ თქვენი გამოცდილება".

„ვიშკა" შეუდგა შემცვლელი გვერდების მზადებას საუკეთესო იზოტოველთა ჩვენებით. სსრკ-ს მუშათა კლასმა პარტიის ხელმძღვანელობით ააგო მსოფლიო გიგანტები, დაეუფლა ურთულეს მანქანების წარმოების ტექნიკას. ასიათასზე მეტი საბჭოთა ტრაქტორი ხნავს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებს. ორი ათეული ათასი საბჭოთა კომბაინი შევიდა სოციალისტური მიწათმოქმედების ტექნიკურ არსენალში. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის, ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის კონვეიერიდან ყოველდღე გამოდის ახალი და ახალი ათეული და ასეული მანქანა.

ეს მანქანები საჭიროა ვამუშაოთ შეუფერხებლად, უდეფექტებოდ, გაუტეხავ - გაუფუჭებლად, ვამუშაოთ სრული დატვირთვით, მათი სრული სიმძლავრის გამოყენებით, განუხრელად ავამაღლოთ ნაყოფიერება შეძლებული საკოლმეურნეო — ცხოვრებისათვის ბრძოლის ამ იარაღებისა. კოლმეურნის გადაქცევა მაღალი ტექნიკის მქონე დამკვრელ - იზოტოველად, მისთვის მძლავრი მრავალ-ძალიანი მანქანებისადმი სიყვარულითა და სიფრთხილით მოპყრობის და მათი დაუფლების და კულტურულად მართვის შესწავლება — უდიდესი ამოცანაა.

აქეთ — წარმოების უმდიდრესი იარაღების ტექნიკის ათვისებისათვის საბრძოლველად, სოციალისტური მინდვრების ასობით და ათასობით იზოტოვების აღზრდისათვის საბრძოლველად, აქეთ — უმთავრესი ძალები. აქეთ — ჩვენი პრესის, მუშკორებისა და გლეხკორების, მთელი უდიდესი ორგანიზატორული ძალა, მისი შემოქმედებითი გამომგონებლობა და ინიციატივა.

თითეული გაზეთი — პოლიტგანყოფილების, რაიონული, საოლქო, სამხარეო და საქალაქო მთელი პრესა უნდა პოულობდეს და ზრდიდეს სოციალისტური მიწათმოქმედების იზოტოვებს.

აღმოსავლ. ჩინეთის რკ.-გზ. შესყიდვის ირგვლივ

მანჯურიის სახელმწიფოს პირობები საბჭოთა კავშირის უფლებათა დათმობის შესახებ მანჯუგოსათვის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე

ტოკიო, 6 ივლისი. „მანჯუგოს და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ძირითად პირობებში უკანასკნელის მიერ ჩრდილოეთ-მანჯურიის რკინის გზაზე (ყოფილი ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა) უფლებების დათმობის შესახებ ,რომელიც წარმოადგინა მანჯურიის სამხედრო დელეგაციამ კონფერენციაზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის გაყიდვის შესახებ, ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირი თანახმაა დაუთმოს მანჯუგოს ყველა უფლებები, რომელიც პირველს აქვს ჩრდილოეთ-მანჯურიის რკინის გზაზე და მის დამხმარე წარმოებებზე, ხოლო მანჯუგო კისრულობს გადაუხადოს მას ამის ასანაზღაურებლად 50 მილიონი იენი. საბჭოთა და მანჯურიის მთავრობების მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ინიშნებიან სათანადო წარმომადგენლები ჩრდილოეთ-მანჯურიის რკინის გზის მიღება-გადაცემისათვის, ხოლო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სამი თვის განმავლობაში უნდა დამთავრდეს ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის, მისი დამხმარე წარმოებების და აგრეთვე მის საკუთრებაში მყოფ ქონების გადაცემა.

საბჭოთა მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობას ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის ყველა ვალდებულებებზე ყოველ მესამე მხარის მიმართ, რომელიც აღიძრა 1917 წლის 9 მარტის შემდეგ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღემდე და აგრეთვე ყოველი მესამე მხარის ყველა პრეტენზიებზე, რომლებიც დაკავშირებულია ზემოთნახსენებ დათმობასთან. საბჭოთა მთავრობა ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის და მის დამხმარე საწარმოების გადაცემასთან ერთად კისრულობს გადასცეს მანჯურიის მთავრობას არქივები, ობლიგაციები და სხვ. დოკუმენტები ჩრდილოეთ-მანჯურიის რკინის გზის სასესხო ვალდებულებათა შესახებ, აგრეთვე ყველა დოკუმენტები, რომელთაც კავშირი აქვს ამ გზასთან და მის საწარმოებთან.

ემ. იაროსლავსკი

საქ. კ. პ. (ბ) ოცდაათი წლისთავი და ჩვენი ამოცანები*)

ძველი ბოლშევიკების მე-II საკავშირო კონფერენციაზე შეკრებილთა შორის ბევრნი მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც ჩვენი დიდი პროლეტარული მოძრაობის ცოცხალი მონაწილენი, მისი პირველი ნაბიჯების აქტიური მოღვაწენი არიან. თქვენ გახსოვთ ის გზა, რომელიც განვლო მუშათა პირველი წრეებიდან პარტიის პირველი კომიტეტების შექმნამდის, „რუსეთის მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირის" დაარსებამდის. თქვენ გახსოვთ ის რთული და შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც ამ გზაზე გადაგვხვდა: ბრძოლა ნაროდნიკებთან, შეტაკებანი ეკონომისტებსა და ლეგალურ მარქსისტებთან, რომელნიც როგორც შემდეგში მენშევიკები, პროლეტარიატზე ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული გავლენების გამტარებელნი იყვნენ: ისინი ცდილობდენ მუშათა კლასი ბურჟუაზიის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, ბურჟუაზიის დანამატად გადაექციათ. ამ შეურიგებელმა ბრძოლამ — ბრძოლამ ესერებთან, მენშევიკებთან, ანარქისტებთან ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილ ბურჟუაზიულ პარტიებთან, ბრძოლამ თითონ პარტიის შიგნით აღმოჩენილ რყევებთან — დიად, ყველაფერმა ამან გააკაჟა, გამოწრთო გამოცდილებით განსაკუთრებულად მდიდარი პროფესიონალი რევოლუციონერების თაობა და პირველ აზრი, როდესაც ჩვენს პარტიაზე ვფიქრობთ, როდესაც ჩვენი პარტიის 30 წლის არსებობას ჯამს ვუკეთებთ, — ეს არის აზრი ჩვენი პარტიის ორგანიზატორის, ჩვენი მასწავლებლის, ჩვენი ბელადის, ჩვენი მეგობრისა და ამხანაგის, უკვდავი ვლადიმერ ილიას ძის ლენინის შესახებ.

ლენინი მოგვევლინა **მარქსისა** და **ენგელსის** საქმის პირდაპირ გამგრძელებლად. მარქსი და ენგელსი სხვა ეპოქაში, მონოპოლისტურ კაპიტალიზმის წინა ეპოქაში ცხოვრობდენ. მათ აღნიშნეს ის ძირითადი მიჯნები, რომელიც უნდა გაევლო კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე მუშათა მოძრაობას. მუშათა კლასი მათ შეაიარაღეს ერთად ერთი მართებული, რევოლუციური თეორიით; მათ შეიმუშავეს მუშათა კლასის ორგანიზაციის, მუშათა კლასის ტაქტიკის და სტრატეგიის საფუძვლები. მაგრამ ისინი მოქმედებდენ იმ ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმს ჯერ კიდევ არ მიეღწია თავისი უკანასკნელი სტადიისათვის მონოპოლისტური კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის სტადიისათვის.

ლენინმა მოღვაწეობა დაიწყო სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც უკვე განსაზღვრულმა გარდატეხამ იჩინა თავი, როდესაც კაპიტალიზმი თავის უმაღლეს სტადიაში გადადიოდა. ლენინმა მოღვაწეობა დაიწყო ის ეპოქაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მარცხი განიცადეს ნაროდნიკულმა თეორიებმა, ნაროდნიკულმა პროგრამებმა. ნაროდნიკების ბელადების გავლენა ჯერ კიდევ მაინც საკმაოდ ძლიერი იყო — გაჩნდენ ახალი ადამიანები, რომელნიც თავის საქმიანობას ქვაკუთხედად სახავდენ ორგანიზაციას, პროპაგანდას, აგიტაციას—**მუშათა კლასში.** ამ პერიოდში ლენინმა დაიწყო გიგანტური თეორიული მუშაობის შესრულება. მან დაამუშავა მუშათა კლასის რევოლუციური **ორგანიზაციის** საკითხები, დაამუშავა მუშათა კლასის საბრძოლო **პროგრამა, ტაქტიკა** და **სტრატეგია** ახალ კონკრეტულ ისტორიულ გარემოსთან, ახალ ეპოქასთან შეფარდებით. ყველაფერმა ამან მტკიცე საძირკველი ჩაუყარა პროლეტარიატის მსოფლიო კომუნისტური ორგანიზაციის შექმნასა და მოქმედებას.

ლენინის პირველი დიდი თეორიული ნაშრომები ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც ასპარეზს ჩამოცილებული იყო არა მარტო მარქსი, არამედ ენგელსიც. ლენინი მათი პირდაპირ განმგრძობად მოგვევლინა. მას უნდა დაემხო ნაროდნიკული ავტორიტეტები, წვრილბურჟუაზიული თეორეტიკოსების ავტორიტეტები, რათა გზა გაეკაფა რევოლუციური თეორიისთვის. ლენინი გააფთრებით და საქმის ღრმა ცოდნით უნდა ამხედრებულიყო უტოპიური სოციალიზმის წინააღმდეგ, რეფორმიზმის ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში გამოიწრთო რევოლუციონერების ახალი თაობა, რომელსაც კისრად დააწვა ახალი ტიპის პარტიის აგების — **პროლეტარული რევოლუციის მებრძოლი პარტიის აგების ამოცანა.** ლენინი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როდესაც ბელადის თვისებები გამოიჩინა. ამას ჩვენი მტრებიც კი ადასტურებდენ. აქსელროდიც კი ამბობდა: ახალგაზრდა ლენინმა ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება ისეთი კაცისა, რომელსაც უნარი შესწევს მუშათა პარტიის ბელადი გახდეს. ლენინმა შეითვისა მარქსის მოძღვრება, ჩვენი დროის უდიდესი რევოლუციური მოძღვრება, შეითვისა არა როგორც დოგმა, არამედ როგორც მოქმედებისთვის სახელმძღვანელო. იგი განაგრძობს მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის და პროლეტარული რევოლუციის შესახებ მოძღვრების დამუშავებას და ეს მოძღვრება ახალ საფეხურზე აჰყავს. ლენინი გულმოდგინეთ სწავლობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, რათა უფრო ზუსტად გამოარკვიოს რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პროლეტარიატისთვის მოკავშირეები ჰპოვოს.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის ნაშრომს — „**რანი არიან ხალხის მეგობრები**" — მის წიგნს „**კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში**". ლენინმა ამ და შემდგომი თავისი ნაშრომებით პარტიას გარკვეული, მკაფიო, აზრი ბასრი და კარგად ალესილი იარაღი მისცა.

ყველასათვის ცნობილია ლენინის უდიდესი როლი რევოლუციური მარქსისტების პირველი მუშათა ორგანიზაციების დაარსების დროს, „მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირის" უდიდესი მნიშვნელობა. ეს კავშირი ხომ ჩვენი პარტიის ჩანასახი იყო, ჩანასახი ისეთი ნამდვილად რევოლუციური პარტიისა, რომელიც „ეყრდნობა მუშათა მოძრაობას და ხელმძღვანელობას უწევს კაპიტალისა და აბსოლუტისტური მთავრობის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას" (ლენინი). ჩვენ ბედნიერად ვგრძნობთ თავს იმის გამო, რომ ჩვენს რიგებში, აქ, ამ კრებაზე არიან ლენინის თანამებრძოლნი, „მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირის" ორგანიზატორები და მოღვაწეები — ამხანაგი კრუპსკაია, კრჟიჟანოვსკი, შელგუნოვი და მთელი რიგი სხვა ამხანაგები (ტაში).

დიდი იყო ლენინის როლი ჩვენი **პროგრამის** შემუშავების დროს „ისკრას" რედაქციის წიაღში. იქ თავი მოეყარათ ს.-დ. მოძრაობის ბელადებს. ზოგიერთი მათგანი მონაწილეობდა ჯერ კიდევ ნაროდნიკულ მოძრაობაში და ლენინზე უფროსი იყო როგორც წლოვანებით, ისე რევოლუციური გამოცდილებით (პლეხანოვი, ვერა ზასულიჩი და აქსელროდი). მაგრამ მათ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჩამოეშორებინათ ნაროდნიკული ცრურწმენათა მტვერი, როდესაც ნაროდნიკობას გამოეთიშნენ და მარქსისტების ბანაკში გადავიდნენ. გარდა ამისა, მათ ამ პერიოდში, — რომელსაც ამხ. **სტალინი** მართებულად უწოდებს მე-II ინტერნაციონალში ოპორტუნიზმის თითქმის განუსაზღვრელი ბატონობის პერიოდს, — შეითვისეს მთელი რიგი იდეები, რომელიც მაშინ წარმატებით სარგებლობდენ მარქსიზმის რევიზიონისტებს შორის. ლენინს ძალიან შეუპოვრად დაცვა მოუხდა „ისკრას" რედაქციაში იმ აზრისა, რომ ჩვენი პარტიის პროგრამაში ზუსტად ნათქვამი ყოფილიყო: ვიბრძვით **პროლეტარიატის დიქტატურისთვის.** ამ აზრის წინააღმდეგ გაილაშქრეს „ისკრას" რედაქციის წევრებმა, გაილაშქრა პლეხანოვმა ლენინი იბრძოდა იმისთვის, რომ ჩვენი პარტიის პროგრამაში ნათქვამი ყოფილიყო: განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელია მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა წამოვაყენოთ, პლეხანოვი კი ამტკიცებდა, რუსეთის რევოლუციის პირობებში მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა — რეაქციული მოთხოვნააო. თქვენ გახსოვთ ჩვენებურ მენშევიკებთან ჩვენი ცხარე დავა ლიბერალებისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ. „ისკრას" რედაქციის მენშევიკური უმრავლესობა ლიბერალების შესახებ იცავდა ისეთ თვალსაზრისს, რომელიც მუშათა კლასს ბურჟუაზიის დანამატად აქცევდა. II ყრილობის ბევრად უფრო ადრე, „ისკრას" წიაღში ყალიბდებოდა არა მარტო ორი პოლიტიკური მიმდინარეობა, არამედ ისახებოდა ორი პოლიტიკური პარტიაც. მაგრამ განსაკუთრებული ბრძოლა გაიმართა პარტიის II ყრილობაზე საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

ყველას მოეხსენება ის უზარმაზარი როლი, რომელიც ლენინმა პარტიის ორგანიზაციის, ბოლშევიზმის ჩამოყალიბების დროს იკისრა. სწორედ ის იყო ბელადი და ორგანიზატორი იმ **სალკლდოვანი ბოლშევიზმისა,** რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრეს მაშინ არა მარტო რუსეთის ს. დ. პარტიის ოპორტუნისტებმა, არამედ მთელი მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმაც. **ლენინის უკვე პირველსავე გამოსვლებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ეკონომისტების და ლეგალურ მარქსისტების მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, ბრძოლა—იმავე დროს იყო ბრძოლა მთელ საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.** მენშევიკმა აქსელროდმა პოტრესოვისადმი წერილში წინადადებაც კი წამოაყენა: გამოვრიცხავთ ლენინი პარტიის საბჭოდან და ამ გეგმის განხორციელებისას მე-2 ინტერნაციონალელი ოპორტუნისტების დახმარების იმედი ჰქონდა.

საჭირო იყო დაგვეძლია „ჭაობის" მერყეობა — მერყეობა იმ ადამიანებისა, რომელნიც ამ მერყეობას გზის ამორჩევაში იჩენდენ. ლენინის მხარეს უცბად არ გადასულა და უპირობოდ მხარი არ დაუჭირა მისთვის ყველა იმასაც კი, ვინც ძველი „ისკრის" ხაზს იზიარებდა. ამ მერყეებს, ამ „ჭაობს" ებრძოდენ მე-2 ყრილობაზე სალკლდოვანი ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით. სწორედ იმიტომ, რომ ლენინი ასეთი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა, ბოლშევიკებმა მოახერხეს მის გარშემო შემოკრიბათ და განემტკიცებინათ მაგარი ბირთვი, რომელიც შესძლებდა ყოველგვარი მერყეობა დაეძლია.

მაშინაც საჭირო იყო ბრძოლის წარმოება ორ ფრონტზე. გაიხსენეთ ლენინის გამოსვლა ისეთ საკითხებზე, **როგორიც არის ეროვნული საკითხი, რომლის დროსაც მას გაჰყავდა ორ ფრონტზე ბრძოლის ხაზი.** ერთი მხრით ბუნდელები — უფრო წვრილბურჟუაზიული, ხელოსნური მოსახლეობის, და არა პროლეტარიატის წარმომადგენელნი — ბუნდელები, რომელთაც თავი „რუსეთის ებრაელი პროლეტარიატის ერთად-ერთ წარმომადგენლებად" მიაჩნდათ, — სტოვებდენ ყრილობას, როდესაც მათ უარი უთხრეს — გამოსულიყვნენ როგორც ებრაელი პროლეტარიატის ერთად-ერთი წარმომადგენელნი; მეორე მხრით, ლენინი იძულებული იყო გამოსულიყო პოლონელი ს.-დ.-ბის წინააღმდეგ, რომელთაც შეუწყნარებლად მიაჩნდათ მუშათა პარტიის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლების წამოყენება.

ამ ორ ფაქტზე მე იმიტომ ვჩერდები, რომ შემდგომ მთელ ჩვენს ბრძოლაში თქვენ შეამჩნევთ: ლენინი ამ საკითხებში თანმიმდევრობით აწარმოებდა ორ ფრონტზე ბრძოლას. საკმარისია გავახსენოთ ბრძოლა რეაქციის პერიოდში, როდესაც მენშევიკებმა, მსგავსად ბუნდელებისა, დაიწყეს ნაციონალურ საკითხში სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ მოთხოვნათა წამოყენება. გავიხსენოთ აგრეთვე იმპერიალისტური ომი, როდესაც ამ ხაზით ორ ფრონტზე ბრძოლა წარმოებდა: ერთი მხრით ბრძოლა სოციალ-შოვინისტებთან, მეორე მხრით „მემარცხენეებთან", (ბუხარინსა, პიატაკოვსა და რადეკთან). ამასთან დაკავშირებით აუცილებლად საჭიროა გავიხსენოთ არალეგალობის პერიოდის „პრავდასა" და „პროსვეშჩენიეში" დაბეჭდილი ბრწყინვალე სტატიები, დაწერილნი ამხ. **სტალინის** მიერ.

იმხანად იყო ჩვენს პარტიაში, განსაკუთრებით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, ისეთი ხალხი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ვაზვიადებდით უთანხმოებებს. **ახლა ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, რომ ის საკითხები, რომლებიც მე-2 ყრილობაზე იყო დასმული, საბრძოლო საკითხები იყო არა მარტო იმ პერიოდისთვის; ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის განმავლობაში ეს საკითხები ყურადღების ცენტრში იყო და ამ დავას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.**

კლასობრივი ბრძოლა რუსეთში მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგისთვის ჩამოყალიბდა, — როგორც ამას ამბობს ლენინი, — თუმცა უკვე 90-ანი წლების დამლევს ჰქონდა ადგილი სავსებით ორგანიზებულ გაფიცვებს, რომელთაც „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" უწევდა ხელმძღვანელობას. სახელდობრ 1902 წლის როსტოვის გაფიცვაზე სწერდა ლენინი: „პროლეტარიატი პირველად უპირისპირებს თავისთავს, როგორც კლასს, მეფის თვითმპყრობელობის ყველა დანარჩენ კლასსო" (ტ. VII, გვ. 105—106).

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გასული საუკუნის ჯერ კიდევ 70 წლებში მარქსსა და ენგელსს გათვალისწინებული ჰქონდათ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება ჩვენი ქვეყნისაკენ, რუსეთისაკენ. ლაპარაკობდა რა კრიზისზე ახლო აღმოსავლეთში, მარქსი 1877 წლის 27 სექტემბერს ზორგეს სწერდა: „კრიზისი ევროპის ისტორიაში ახალი გარდატეხის პუნქტს წარმოადგენს. რაც შეეხება რუსეთს, რომლის მდგომარეობაც შევისწავლე რუსული ორიგინალური, ოფიციალური და პროფეციალური წყაროების მიხედვით, იგი დიდი ხანია გადატრიალების წინაშე დგას და საამისოდ ყოველგვარი ელემენტი მომწიფებულია. ამ შემთხვევაში რევოლუცია დაიწყება აღმოსავლეთისაკენ, რომელიც აქამდის კონტრ-რევოლუციის ხელუხლებელ ციტადელსა და სარეზერვო არმიას წარმოადგენდა (მარქსის წერილები ზორგესადმი, მე-4 გამოცემა, გვ. 304).

შემდგომ ხანებში, განსაზღვრავდა რა ჩვენს წინაშე წამოჭრილ ამოცანებს, ლენინი აღნიშნავდა: შეიძლება ჩვენი რევოლუცია მართლაც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის წყაროდ, მის ბიძგად იქცესო. „რა ვაკეთოთ?"-ში ლენინი სწერდა: „ისტორიამ ჩვენს წინაშე წამოაყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც **ყველაზე მეტად რევოლუციურია,** რომელისაც განებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა **უახლოეს** ამოცანებთან შედარებით. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (ახლა შეიძლება ითქვას) აზიის რეაქციის ყველაზე ძლიერი ბურჯის განადგურება—რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა" (ლენინი, ტ. მე-4, გვ. 382).

ამაზე უფრო ადრე, თავის ნაშრომში „**რანი არიან ხალხის მეგობრები,** რომელიც 1894 წ. გამოქვეყნდა, ლენინი აღნიშნავდა განვითარების იმ გზას, რომელზედაც სვლისას ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი, ძლევამოსილად დაამთავრებდა რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგებოდა. აი, რატომ არის, რომ ჩვენი პარტიის ჩამოყალიბებას მე-II ყრილობაზე ბოლშევიკების, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მიმდინარეობის, როგორც პარტიის გამოყოფას,—უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

მუშათა კლასის წინაშე წამოყენებული იყო **პარტიის ორი ტიპი.** ერთი მხრით, მენშევიკები აყენებდენ ისეთი „ფართო მუშათა პარტიის" შექმნის გეგმას, რომლის იდეალი უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული ბურჟუაზიული რესპუბლიკა; მათ უნდოდათ ისეთი პარტიის შექმნა, რომელშიაც მართლაც, „ფართოდ" ეცხოვრებოდათ ათასგვარ ოპორტუნისტებს, ყველა მას, ვინც მოისურვებდა „ჩაერიცხა" თავისი თავი პარტიაში, კარგად ეცხოვრებოდათ ათასგვარ ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ თანამგზავრებს და რომელშიაც მოწინავე მუშები პირდაპირ და უბრალოდ გაითქვიფებოდენ, მასში, არავითარი გავლენა არ ექნებოდათ. მეორე მხრით, იყო ლენინის გეგმა. გეგმა **ახალი ტიპის მებრძოლი პარტიის, პროლეტარული რევოლუციის პარტიის,** ერთად ერთი მართებული რევოლუციური თეორიით შეიარაღებული პარტიის შექმნისა. ამ პარტიას მუშათა კლასი ბელადობის როლისთვის, რევოლუციის შემზადებისთვის უნდა მოემზადებინა. თუნდაც ეს პარტია რიცხობრივად პატარა ყოფილიყო, თავისი რკინისებური დისციპლინის, პროლეტარული, გამოწრთობილი, რევოლუციისათვის თავდადებული ხელმძღვანელი შემადგენლობის მეოხებით, უფლებამოსილი ერთიანი ცენტრის მეოხებით, ამ პარტიას, როგორც ლენინი ამბობდა, უნდა გაენადგურებინა „შეკოწიწებული უცნაურობა" ახალი „ისკრის" მრავალგვაროვანი ელემენტებისა.

ჩვენში მაშინ კიდევ მოიპოვებოდენ ცალკეული შემრიგებლურად განწყობილი ამხანაგები, რომლებიც ძალიან წუხდენ პარტიის გათიშვის გამო. ლენინი კი ესალმებოდა ამ განხეთქილებას. იგი სწერდა: „აშკარა, თავისუფალი ბრძოლა. აზრები გამოთქმულია აზრთა იერი გამორკვეულია. ჯგუფები უკვე ასახულნი არიან. ხელი აწეულია. გადაწყვეტილებანი მიღებულია. ეტაპი განვლეთ. წინ! აი, ეს მესმის. სიცოცხლე ეს არის. ეს აღარ არის დაუსრულებელი, მოსაბეზრებელი, ინტელიგენტური კამათისტყაობა, რომელიც თავდება ხოლმე არა იმიტომ, რომ ამ ადამიანებს საკითხი გადაუწყვიტავთ, არამედ მარტო იმიტომ, რომ ლაპარაკით დაიღალნენ". (თხზულებათა მე-6 ტ., გვ. 274).

თავის დროს ლეგალური მარქსიზმი ანუ სტრუვეიზმი წარმოადგენდა, როგორც ლენინი ამბობდა: „ბურჟუაზიის თეორეტიკოსების საერთაშორისო მისწრაფებას იმისადმი, რომ ჩაეკლათ მარქსიზმი „თავაზიანობით", დაეღრჩოთ გულში ჩახუტებით, მარქსიზმის ვითომდა ყველა „ჭეშმარიტად მეცნიერული" მხარისა და ელემენტების ცნობით, **გარდა** მისი „აგიტატორული", „დემაგოგიური", „ბლანკისტურ-უტოპიური" მხარისა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მათ სურდათ: მარქსიზმიდან წაეღოთ ყველაფერი ის, რაც მისაღებია ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, რეფორმებისათვის ბრძოლაც კი, კლასობრივი ბრძოლაც კი (პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე), „სოციალისტური იდეალების" და „ახალი წყობილების" კაპიტალიზმის შეცვლის აღიარებაც კი, მაგრამ უკუეგდოთ მარქსიზმის „მხოლოდ" ცხოველი სული, მხოლოდ მისი რევოლუციურობა" (ლენინი, თხზ. მე-18 ტ., გვ. 251). ამნაირად, **რუსეთის და საერთაშორისო მენშევიზმი მარქსიზმის დროშის ქვეშ იმავე ბურჟუაზიის ამოცანას ასრულებდა;**

უკვე ამ ყრილობაზე აღინიშნა სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური აზროვნების ის ორი მიმდინარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობასა და ჩვენს ქვეყანაში. იმავე ხანებში გამოირკვა როლი იმ შუათანა, დღენაკლული მიმართულებისა, რომელიც ჩვენი პარტიისა და საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში ცნობილია **ტროცკიზმის** სახელწოდებით. ტროცკიზმი მთელი რიგი წლების განმავლობაში ცენტრისტულ მიმდინარეობას წარმოადგენდა, უკანასკნელ წლებში კი საერთაშორისო კონტრ-რევოლუციის მოწინავე რაზმად გადაგვარდა.

მაშინ ყველას ნათლად როდი ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მე-2 ყრილობაზე ატეხილი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ასე ძალიან დავშორდებოდით ერთმანეთს რევოლუციის მთელი შემდეგი პერიოდის განმავლობაში, რომ, ბოლოს, ჩვენ რევოლუციური ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდებოდით. ლენინისთვის უცხო და საძულველი იყო შემრიგებლობა: იგი ამათრახებდა არა მარტო მენშევიზმს, არამედ ტროცკიზმს

---

*) ძველი ბოლშევიკების საზოგადოების მე-II საკავშირო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების სტენოგრამა.

ბიბლიოთეკა

საკავშირო პროფსაბჭოს და პროფკავშირების ამოცანების შესახებ მათთვის შრომის სახკომისარიატის ფუნქციების გადაცემასთან დაკავშირებით

ამხ. შვერნიკის მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმზე 1933 წლის 29 ივნისს

პროფკავშირების როლის განმტკიცება

შრომის სახალხო კომისარიატის შეერთება საკავშირო პროფსაბჭოსთან და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოთა ფუნქციების პროფკავშირებისათვის გადაცემა წარმოადგენს კოლოსალური მნიშვნელობის ღონისძიებას მთელი მუშათა კლასისათვის. ამ გადაწყვეტილების ძირითადი მნიშვნელობა ისაა, რომ პარტია და მთავრობა, მიისწრაფიან რა აამაღლონ მუშების მატერიალური კეთილდღეობა, სოციალური დაზღვევის, შრომის დაცვის, შრომის კანონმდებლობის საქმეს მთლიანად და უშუალოდ აკისრებენ პროფკავშირებს — ჩვენს ქვეყანაში მუშების ყველაზე მასობრივ ორგანიზაციებს.

ცაკის, სახკომსაბჭოს და საკ. პროფსაბჭოს ეს გადაწყვეტილება აუცილებლად გამომდინარეობს პარტიის მთელი ხაზიდან პროფკავშირების მიმართ, ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ზრდისა და პროფკავშირების გაძლიერებული როლიდან.

მართლაც, როგორია ის გზა, რომელიც განვლეს პროფკავშირებმა პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში? ძირითადი ისაა, რომ პროფკავშირების როლი და მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში პირველი ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყველას გახსოვთ ის ბრძოლა, რომელიც ჩაატარეს პროფკავშირებმა პარტიის ხელმძღვანელობით მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ, წარმოებისაკენ პროფკავშირების მობრუნებისათვის. რაში გამოიხატებოდა ამ ბრძოლის აზრი? იმაში, რომ პროფკავშირები ჩაებნენ აქტიურ ბრძოლაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის ჩვენს ქვეყანაში, კაპიტალისტური კლასების ლიკვიდაციისათვის, მემარჯვენე ოპორტუნისტები კი პროფკავშირების ეგრეთწოდებულ დაცვის ფუნქციებს უპირისპირებდენ მათ საწარმოო ამოცანებს, ცდილობდენ რა დაეპირისპირებინათ პროფმოძრაობა პარტიისათვის, დაეპირისპირებინათ მუშათა ცალკე ჯგუფების ამქრული ინტერესები მთელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებში მოკალათებული მემარჯვენე ოპორტუნისტები ცდილობდენ პროფკავშირული ორგანიზაციები გადაექციათ ზღუდედ პარტიასა და მუშების ფართო მასებს შორის. ისინი ყოველნაირად აფერხებდენ მუშათა მასების მობილიზაციისათვის სახალხო მეურნეობის ძირეული სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანების განსახორციელებლად და ამასთან დაკავშირებულ სიძნელეების გადასალახავად. მემარჯვენენი ძირფესვიანად არღვევდენ ბოლშევიზმის პრინციპებს პარტიის და პროფკავშირების ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ, პროფკავშირების მიმართ პარტ. ხელმძღვანელობის შესახებ. მათ დაივიწყეს, რომ პროფკავშირების მთავარი ამოცანაა მასების მობილიზაცია პარტიის ხაზის გასატარებლად. მემარჯვენენი გამოხატავდენ პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი კლასობრივი ელემენტების ინტერესებს, ცდილობდენ რა გამოერიცხათ პროფკავშირები მთელ ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის საერთო ჯაჭვიდან და ამრიგად შეესუსტებინათ ეს შეტევა.

გამოდიოდენ, რა თავის ბრძოლაში პარტიის ხაზის წინააღმდეგ მენშევიკურ ტრედიუნიონისტურ პოზიციებიდან, მემარჯვენე ოპორტუნისტები პროფკავშირებში ანგარიშს არ უწევდენ მუშათა მასების აქტივობას. ისინი ცდილობდენ ჩაეხშოთ მუშათა ფართო მასების ენტუზიაზმი და ინიციატივა და შემაფერხებელ ზღუდედ აღიმართნენ მუშათა კლასის გზაზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლის, მაშასადამე, შრომის მეთოდების და ფორმების ძირფესვიანად შეცვლის გზაზე. პროფკავშირები მემარჯვენეთა გზით, რომ წასულიყვნენ, ისინი მოსწყდებოდენ მასებს, დაღუპავდენ თავის თავს, როგორც მუშათა მასობრივი ორგანიზაციები.

მემარჯვენეთა იმედი დაიმსხვრა.

პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის და ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით პროფკავშირებმა გადაჭრით დასძლიეს მემარჯვენენი და გარდაქმნეს თავისი რიგები პირით წარმოებისაკენ. გაძევეს რა ხელმძღვანელობიდან მემარჯვენენი, პროფკავშირები აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეტევაში ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. მხოლოდ იმიტომ, რომ პროფკავშირები სავსებით და მთლიანად ატარებდენ პარტიის ხაზს, მხოლოდ ამიტომ შესძლეს მათ ხელი ჩაეჭიდათ და უფრო განევითარებინათ მასების ინიციატივა პირველი ხუთწლედის ამოცანების განსახორციელებლად, შესძლეს მოეწყოთ და ხელმძღვანელობა გაეწიათ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობისათვის.

პროფკავშირებმა მოახდინეს მუშათა მილიონების ძალღონის, ენერგიის მობილიზაცია სოციალისტურ საწარმოთა შესაქმნელად და განსამტკიცებლად, ახალი ტექნიკის შესაქმნელად და პირველ ხუთწლედში სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი როლი მასებთან პროფკავშირების უფრო მეტი დაახლოვების საქმეში შეასრულა საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმმა. ამ პლენუმზე დასმული იყო პროფკავშირების დაწვრილების საკითხი. პროფკავშირების დაწვრილებამ, რომელიც ჩატარდა **პარტიის ცენტრალური კომიტეტის** და ამხ. **სტალინის** ინიციატივით, საშუალება მოგვცა პროფკავშირთა რიგები გარდაგვექმნა ისე, რომ პროფკავშირებს შესძლებოდათ განეხორციელებინათ მრეწველობის სათანადო დარგების მუშათა მასების საწარმოო აქტივობის კონკრეტული ხელმძღვანელობა, რომ პროფკავშირებს უფრო ახლოს გაეცნოთ ამ მასების მუშაობის სპეციფიკური პირობები და ამსაფუძველზე შესძლებოდათ მუშათა მატერიალური და კულტურული საჭიროებათა და მოთხოვნილებათა უკეთ მომსახურება.

ჩვენში იყო 23 პროფკავშირი ახლა კი გვაქვს უკვე 47 კავშირი.

მეხუთე პლენუმმა მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება სოციალური დაზღვევის — ჩვენი ქვეყნის მუშების უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანესი საქმის — ძირითადი რეორგანიზაციის შესახებ. ნება მომეცით გაგახსენოთ ეს ადგილი მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, რადგან იგი იძლევა გასაღებს იმისათვის, რომ გავიგოთ პროფკავშირებისათვი სოციალური დაზღვევის ახლანდელი გადაცემის აზრი და მნიშვნელობა. პლენუმი საჭიროდ სცნობს: —სოციალური დაზღვევის მთელი ქსელის მუშაობის ძირითადად გაუმჯობესებას, ფაბრიკა-ქარხნებთან და მსხვილ საბჭოთა მეურნეობებთან მის დაახლოვებას, სოციალური დაზღვევის მუშაკთა კადრების გაუმჯობესებას სოციალური დაზღვევის ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ბიუროკრატიზმის გადაჭრით აღმოფხვრას“.

პლენუმის ამ მითითებათა საფუძველზე მოეწყო სოცდაზღვევის დახმარების გაცემის პუნქტები მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში და მსხვილ ახალშენებზე. გადაწყვეტილებამ დახმარების გაცემის პუნქტების შექმნის შესახებ სავსებით და მთლიანად გაამართლა თავის დანიშნულება. ჩვენ უკვე გვაქვს მთელ საბჭოთა კავშირში დახმარების გაცემის 3.500 პუნქტი საწარმოებთან, ქარხნ., სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებთან.

დახმარების გაცემის პუნქტების მუშაობას მეთვალყურეობას და კონტროლს უწევდენ ფაბქარხკომები, რომლებიც ქმნიდენ აქტივს ამ პუნქტების გარშემო და ამგვარად ქარხანათა მუშებს სოციალური დაზღვევის განხორციელების კონტროლის საქმეში აბამდენ.

მაგრამ სოციალური დაზღვევის რეორგანიზაცია ამით არ გათავებულა. მეხუთე პლენუმმა დაადგინა შევექმნა სოციალური დაზღვევის თერთმეტი დარგობრივი სალარო მრეწველობის გამძღოლ დარგებში. ამ სალაროებმაც, რომლებიც უკვე თითქმის ორნახევარი წელიწადია მუშაობენ, სავსებით და მთლიანად გაამართლეს თავისი დანიშნულება. დარგობრივმა სალაროებმა საშუალება მისცეს კავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, კავშირთა საოლქო კომიტეტებს და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს უშუალოდ დაახლოვებოდენ სოციალური დაზღვევის საქმეს:

ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ პროფკავშირებს ახლა უკვე აქვს საგრძნობი გამოცდილება სოციალურ დაზღვევაში, რომ ეს საქმე მათთვის უკვე ახალი არ არის.

მეხუთე პლენუმმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა პროფკავშირების მიერ სოციალური დაზღვევის ორგანოების არჩევის და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ ბის დამტკიცების აუცილებლობა.

სოციალური დაზღვევის ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების აუცილებლობა.

პროფკავშირები, ამგვარად, უშუალო მონაწილეობას ღებულობენ სოცდაზღვევის სახსრების განაწილებაში, ერკვევიან, თუ რას ხმარდება ეს სახსრები. ამან ხელი შეუწყო კავშირებს ჩაებათ მუშათა მასა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების, სოციალური დაზღვევის ორგანოების ყოველგვარი მუშაობის კონტროლში და ხშირად აღმოეფხვრათ ხოლმე ის ბიუროკრატიული მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში.

მეხუთე პლენუმმა მიიღო აგრეთვე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი შრომის დაცვის დარგში. ეს გადაწყვეტილებანი იმავე ხაზით მიიმართებოდენ, როგორც სოციალური დაზღვევის გადაჭრაც, სახელდობრ: შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის გატარების კონტროლში თვით მუშათა მასების მაქსიმალური ჩაბმის ხაზით. პლენუმმა დაადგინა შეექმნა საამქროებსა და საწარმოებში შრომის დაცვის საზოგადოებრივ ინსპექტორთა ინსტიტუტი. ჩვენ უკვე გვყავს 40 ათასი მუშა-ქალი საზოგადოებრივი ინსპექტორების ხაზით, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შრომის დაცვის გატარებაში.

პროფკავშირთა მე-9 ყრილობამ კიდევ უფრო მკვეთრად აღნიშნა პროფკავშირების ამოცანები მუშების მატერიალური და კულტურულ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა მომსახურების საქმეში. თავის გამოსვლაში ყრილობაზე ამხ. **კაგანოვიჩმა** განაცხადა: „პროფმუშაკებმა უნდა მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომ მუშა თავისი საჭიროებებით და მოთხოვნილებებით უწინარეს ყოვლისა მიდიოდეს თავის კავშირში. ამის განხორციელება შეიძლება არა დეკრეტით, არა განსაკუთრებულ „უფლებების“ შესახებ რეზოლიუციით, არამედ პრაქტიკული მუშაობით, იმით, რომ მუშებმა პრაქტიკულად დაინახონ, რომ კავშირი ყურადღებით ეკიდება მათ საჭიროებებს, უნარი აქვს მიაღწიოს სამართლიანი მოთხოვნების და თხოვნების დაკმაყოფილებას“.

ამხ. კაგანოვიჩი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროფკავშირების ამოცანაა შეათანხმოს მუშათა კონკრეტული საჭიროებანი სოციალისტური მრეწველობის ინტერესებთან. მე-9 ყრილობამ, ამხ. კაგანოვიჩის მითითებათა საფუძველზე, აღნიშნა, რომ ლოზუნგი „პირით წარმოებისაკენ“ მოითხოვს პროფორგანიზაციების მხრით ყველაზე მეტ ყურადღებას, ყველაზე მზრუნველ დამოკიდებულებას მუშისადმი, მისი კონკრეტული საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი“.

მეცხრე ყრილობის შემდეგ პროფკავშირების მუშაობა მუშების ყოველმხრივ მომსახურების და კერძოდ სოციალური დაზღვევის და შრომის დაცვის დარგში მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრი, რომელიც ახასიათებს პროფკავშირების მუშაობას სოციალური დაზღვევის დარგში.

საწარმოებში ჩვენ გვყავს 50 ათასი დამზღვევი დელეგატი, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ პროფკავშირების ხელმძღვანელობით. ეს დელეგატები საწარმოებსა, საამქროებსა და მაღაროებში ახორციელებენ საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებებს, ახორციელებენ პროფკავშირთა მეცხრე ყრილობის გადაწყვეტილებას სოციალური დაზღვევის გაუმჯობესების შესახებ, აბამენ რა ამ საქმეში მუშათა ფართო მასებს.

ავიღოთ ლენინგრადი. დახმარების გაცემის პუნქტების მუშაობაში იქ მონაწილეობას ღებულობდა 1931 წლის 1 ივლისისათვის 814 კაცი ხოლო ახლა მონაწილეობას ღებულობს 7.755 კაცი. აქ საგულისხმოა აღინიშნოს აგრეთვე ამ დელეგატების შემადგენლობაც. მე მხედველობაში მაქვს ქალების აქტიური მონაწილეობა, რომლებიც ლენინგრადში შეადგენენ დამზღვევი დელეგატების საერთო რაოდენობის 72,1 პროცენტს. პროფესიული შემადგენლობა დელეგატებისა ასეთია: მუშები — 90 პროც., ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები — 0,4 პროც., მოსამსახურენი — 0,9 პროც.,

ჩვენ ვხედავთ, თუ პროფკავშირების ზრდასთან ერთად როგორ თანდათანობით ფართოვდებოდა მათი მოღვაწეობა სოციალური დაზღვევის და შრომის დაცვის დარგშიც. კავშირების ეს მოღვაწეობა უმთავრესად წარმოებდა სოციალური დაზღვევის და შრომის დაცვის განხორციელების კონტროლის საქმეში თვით მასების ჩაბმის ხაზით. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა პროფკავშირები, ასე ვთქვათ „უფრო და უფრო „იფლობოდენ“ ამ დარგში. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან სოციალურ დაზღვევას და შრომის დაცვას დიდი და პასუხსაგები ადგილი უჭირავთ ჩვენი ქვეყნის მუშების მთელ მომსახურებაში.

მაგრამ ამასთან საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პროფკავშირების მთელი ეს მუშაობა სოციალური დაზღვევის და შრომის დაცვის დარგში უშუალო ოპერატიული საქმიანობის ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ განისაზღვრებოდა შრომის და სოციალური დაზღვევის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობით და მისი კონტროლით

რითია გამოწვეული შრომის სახალხო კომისარიატის შეერთება საკავშირო პროფსაბჭოსთან

მეორე მხრივ იმისათვის, რომ გავიგოთ შრომის სახალხო კომისარიატის და საკავშირო პროფსაბჭოს გაერთიანების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საჭიროება და მნიშვნელობა, გაკვრით მაინც უნდა გადავავლოთ თვალი იმას, თუ რა მიმართულებით და როგორ იცვლებოდა შრომის სახალხო კომისარიატის და მისი ორგანოების ფუნქციები სოციალისტური მეურნეობის და პროფმოძრაობის ზრდასთან შეფარდებით.

სახალხო მეურნეობის ზრდამ, რომელმაც გამოიწვია უმუშევრობის ლიკვიდაცია, სხვანაირად დააყენა საკითხი მუშა-ხელის შეგროვების შესახებ. **პირობები**, ამბობდა ამხ. **სტალინი** თავის ექვს ისტორიულ მითითებებში, — ახლა რადიკალურად შეიცვალა. აქედან, — ამბობს შემდეგ ამხ. **სტალინი**, — გამომდინარეობს ის, რომ არ უნდა ვიქონიოთ მუშა-ხელის თვითდინების იმედი. მაშასადამე, „თვითდინების პოლიტიკიდან უნდა გადავიდეთ მრეწველობისათვის საჭირო მუშების **მოწესრიგებულად** შეგროვების პოლიტიკაზე“. ყოველივე ეს ერთად აღებული ნიშნავს იმას, რომ შრომის სახალხო კომისარიატს ჩამოსცილდა შრომის ბაზრის მოწესრიგების და მუშა-ხელის განაწილების ფუნქციები. ეს გასაგებიც არის, რამდენადაც ძირითად საკითხს, რომელსაც ერთ დროს წყვეტდენ შრომის სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები ადგილებზე უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის და უმუშევართა განაწილების საკითხი წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც კი უმუშევრობა მოისპო, ცხადია, მდგომარეობაც ძირფესვიანად შეიცვალა. მუშა-ხელის მოწესრიგებულად შეგროვებისათვის მუშაობა სულ უფრო და უფრო ხდება სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო საქმედ, რომლებიც თითონ აგროვებენ მუშა-ხელს, სდებენ სათანადო ხელშეკრულებებს კოლმეურნეობებთან და სხვ.

თუ ავიღებთ ხელფასის დარგს, დავრწმუნდებით, რომ აქაც მოხდა ძირითადი ცვლილებები, რამაც თავისი გავლენა მოახდინა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობაზე. წარმოების მასშტაბების და იმ ახალი ტექნიკური მოწყობილობის გიგანტურმა ზრდამ, რომელიც უაღრესად რთული გახდა, მთელი სიმწვავით დასვა მუშა-ხელის დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის და წარმოებაზე მისი მიმაგრების საკითხი. ამისათვის პირველ რიგში საჭირო იყო მოგვესპო ძველი სატარიფო სისტემა, აღმოგვეფხვრა გათანაბრება ხელფასის ანაზღაურების საქმეში და შეგვექმნა სტიმული მუშებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ხოლო ყოველივე ამის განხორციელება როგორც ეს გამოცდილებამ გვიჩვენა, შეეძლო არა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს, არამედ სამეურნეო ორგანიზაციებს პროფკავშირების აქტიური მონაწილეობით.

რა გვაქვს ჩვენ სოციალური დაზღვევის და შრომის დაცვის დარგში?

სახალხო მეურნეობის ზრდამ, მუშათა კლასის ზრდამ გამოიწვია სოციალური დაზღვევის ფონდების კოლოსალური გადიდება და მოითხოვა სოციალური დაზღვევის მთელი საქმის რადიკალურად გარდაქმნა პირით წარმოებისაკენ. საკითხის ასეთი დაყენება სოციალური დაზღვევის შესახებ მოითხოვს მრეწველობის ცალკეული დარგების და საწარმოების, მუშათა ცალკეული ჯგუფების და ცალკეული პროფესიების შრომის პირობების გათვალისწინებას. მეორე მხრით ეს მოითხოვს მუშათა ფართო მასების მონაწილეობას არა მარტო სოციალური დაზღვევის ღონისძიებათა კონტროლში, არამედ ამ ღონისძიებათა გატარებაშიც.

იბადება კითხვა — გაართვეს თუ არა თავი შრომის და სოციალური დაზღვევის ორგანოებმა მთელი ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი მეურნეობის და მუშათა კლასის ინტერესები?

მე პირდაპირ უნდა ვსთქვა, რომ ვერ გაართვეს. საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმის მიერ სოციალური დაზღვევის საქმის გარდაქმნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებას ხშირად პირდაპირ წინააღმდეგობას უწევდენ სოცდაზღვევის ცენტრალური სამმართველოს აპარატები. თქვენ გახსოვთ ის გადაწყვეტილება, რომელშიაც საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ერთ დროს მკაცრი შეფასება მისცა იმ წინააღმდეგობას, რომელსაც სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს ორგანოები უწევდენ სოციალური დაზღვევის გარდაქმნის საქმეს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს გარდაქმნა ვერ გაიგო სოცდაზღვევის ცენტრ. სამმართველოს ბიუროკრატიულმა აპარატმა; მას არ ესმოდა ახალი ამოცანები; მან ვერ გაიგო ის მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და იმ მოთხოვნილებებისაგან, რომელსაც ამასთან დაკავშირებით აყენებს მუშათა კლასი.

ამგვარად, სოციალური დაზღვევის ორგანოების იმ გარდაქმნის გამოცდილებამ, რომელიც ჩაატარა საკავშირო პროფსაბჭომ, აგრეთვე სოციალური დაზღვევის საქმის ახლანდელი მდგომარეობა მოწმობს, რომ ამ უდიდეს საქმეს აშკარად ვერ ართმევენ თავს შრომის სახალხო კომისარიატის და სოცდაზღვევის ცენტრალური სამმართველოს ორგანოები. ეს გასაგებიცაა. აქ მარტო სოციალური დაზღვევის ორგანოების აპარატით ვერ წასწევ წინ ამ საქმეს. ამ საქმეს უნდა გაუძღვნენ მასობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, ვინაიდან მისი გაკეთება შეიძლება მხოლოდ თვით მუშათა მასების უშუალო და აქტიური მონაწილეობით.

ამიტომ სოციალური დაზღვევის საქმის გადაცემა პროფკავშირებისათვის წარმოადგენს იმ მუშაობის დამთავრებას, რომელიც თავის დროზე დაიწყეს პროფკავშირებმა სოციალური დაზღვევის რადიკალურად გარდაქმნისათვის. თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელი ორნახევარი წლის გამოცდილებას, უნდა ითქვას, რომ ჩვენ უკვე მოვმზადდით იმისათვის, რათა თითონ ვიყოთ სოციალური დაზღვევის საქმის ბატონ-პატრონი, რათა თითონვე მოვაწყოთ ეს საქმე და თითონვე ვაგოთ პასუხი ამ საქმისათვის.

თერთმეტი დარგობრივ სალაროს მუშაობის გამოცდილება, როგორც უკვე ვთქვი, გვინერგავს რწმენას, რომ პროფკავშირებს შეუძლიათ თავი გაართვან სოციალური დაზღვევის საქმეს და ჩაატარონ იგი უკეთესად, ვიდრე ამას შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები, ვიდრე ამას სოციალური დაზღვევის ორგანოები ახერხებდენ. ეს თერთმეტი დარგობრივი სალარო აერთიანებს ექვს მილიონ მუშას და ხარჯავს 930 მილიონ მანეთს. მაგრამ საქმე მარტო ამ ციფრებში როდია. იმის გამო, რომ კავშირების ცენტრალური კომიტეტები და საოლქო განყოფილებები უშუალოდ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას დარგობრივი სალაროების მუშაობაში, ჩვენ ვხედავთ, რომ აქ მიღწევები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სოციალური დაზღვევის ტერიტორიალური სალაროების მუშაობაში.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ შრომის სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები ადგილებზე, რომლებსაც დღემდის ირჩევდენ საკავშირო პროფსაბჭოს და ადგილობრივი პროფორგანიზაციები, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ორგანოები — ამჟამად მთლიანად და სავსებით შთანთქა პროფკავშირებმა (ტაში).

მხოლოდ ასე დგას საკითხი: აღნიშნული ორგანოების შთანთქმა, იმ ფუნქციების შთანთქმა, რომლებიც ახლა ბუნებრივად თავმოყრილია პროფკავშირთა ორგანიზაციებში. კონტროლიდან პროფკავშირები გადადიან უშუალო მართვა-გამგეობაზე. ისინი ხდებიან სოციალური დაზღვევის ბატონ-პატრონებად. დასკვნა, რომელიც გამოგვყავს გასული წლების გამოცდილებიდან, ისაა, რომ გადაწყვეტილებას შრომის სახალხო კომისარიატის და სოციალური დაზღვევის ორგანოების საკავშირო პროფსაბჭოსთან შეერთების შესახებ უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში პროფკავშირთა გაზრდილი როლიდან.

გასული წლების გამოცდილებამ ბრწყინვალედ დაადასტურა, რომ მხოლოდ პარტიის ხაზის გატარებით, მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობით, შეუძლიათ პროფკავშირებს თავის დროზე მოახდინონ გარდატეხა პროლეტარული დიქტატურის განვითარების ყველა ეტაპზე; რომ ისინი შესძლებენ უზრუნველყონ თავისი ავტორიტეტი მასებში, განამტკიცონ ყოველდღიური კავშირი მასებთან და მასებს სათავეში ჩაუდგენ (მქუხარე ტაში).

პროფკავშირებმა მხოლოდ იმიტომ შესძლეს მჭიდროდ დაკავშირებოდენ მასებს, და გადაქცეულიყვნენ მძლავრ ორგანიზაციებად, რომლებიც ამჟამად აერთიანებენ 17.260.000 მუშას და მოსამსახურეს, ე. ი. ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელი მუშათა კლასს რომ მათ გაანადგურეს მემარჯვენე ოპორტუნიზმი და ისინი სწორად ატარებდენ პარტიის ხაზს.

მხოლოდ ოპორტუნისტების განადგურებით შესძლეს პროფკავშირებმა განმტკიცება და გაძლიერება იმდენად, რომ ახლა მათ შეუძლიათ მთლიანად იკისრონ ჩვენი ქვეყნის მუშების და მშრომელი მასების სოციალური უზრუნველყოფის მთელი უდიდესი საქმე. ესაა საკითხის დედა-აზრი.

მუშათა მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა ყოველმხრივი მომსახურებისთვის

პროფკავშირებისათვის სოცდაზღვევის გადაცემა ნიშნავს მათდამი არა მარტო უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმის გადაცემას, ისეთი საქმისა, რომელიც მუშათა მასების არსებითს ინტერესებს შეეხება, — არამედ ეს ნიშნავს უამრავ სახსართა გადაცემასაც.

1933 წლისათვის სოცდაზღვევის ბიუჯეტი შეადგენს 4.431.000 ათას მანეთს. პოლონეთის მთელი სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი კი 510 მილიონი მანეთია; ლატვიისა — 48,8 მილიონს, რუმინეთისა — 279,2 მილიონი, იტალიისა — 1.870 მილ. მანეთი. როგორც ხედავთ, პროფკავშირები ღებულობენ უამრავ სახსრებს სოციალური დაზღვევისათვის. ეს სახსრები და თანხა ზემოხსენებული კაპიტალისტური ქვეყნების მთელს, ერთად აღებულ ბიუჯეტს აღემატება.

ყველაფერი ამის გარდა, მუშათა სოციალური დაზღვევის ხარჯები ჩვენს ქვეყანაში გამუდმებით ზრდაში იქნება. ამის საწინდარია ჩვენი მეურნეობის ზრდა, ამის საწინდარია საბჭოთა ხელისუფლება, რომლისათვისაც უპირველეს ვალდებულებას მუშებისა და მშრომელთათვის ზრუნვა წარმოადგენს.

სრულიადაც ასეთი არაა საქმის ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყოველდღე ათი და ასი ათასობით მუშას ერეკებიან ქუჩაში, — უმუშევრებს დახმარებას აღარ უწევენ. აი, მაგალითად, ჩეხო-სლოვაკიაში, უმუშევრების ზრდის მიუხედავად, სოციალური დაზღვევის საერთო ფონდი 1933 წლის ბიუჯეტში შემცირებულია 195 მილიონი ჩეხური კრონით. წინანდელი 18 კრონის მაგივრად დახმარებად უმუშევრებს ახლა 12 კრონს აძლევენ. 50 პროც. ამცირებენ ავადმყოფობის დროის დახმარებასაც, რის გამოც სოცდაზღვევის საერთო ფონდი 65 მილ. ჩეხური კრონით მცირდება. იზრდება აგრეთვე ლოდინის პერიოდი 2-დენ 3 დღემდის, ე. ი. ავადმყოფები დახმარებას ღებულობენ დაავადების მხოლოდ მე-4 დღიდან. იქ შემოღებულია აგრეთვე იძულებითი მუშაობა სოცდაზღვევის წესით მიღებული დახმარების ასანაზღაურებლად.

გერმანიაში ფაშისტებმა თავზეხელაღებული შეტევა დაიწყეს მუშათა კლასის სოციალურ მონაპოვართა ნაშთების წინააღმდეგ. ამ მხრით ფაშიზმის ძირითადი მიზანია — სოცდაზღვევის ლიკვიდაცია მოახდინოს. ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის შემდეგ ეს აშკარად გამოაცხადა გერმანელი მეწარმეების ორგანომ „ფურერბრიფემ“, „სოციალური დაზღვევის ზრდა, რომელმაც უზარმაზარი სახე მიიღო, — ნათქვამია ამ ორგანოში, — ენერგიულად უნდა შევკვეცოთ, რათა ხელს არ ვუწყობდეთ ლუმპენ-პროლეტარიატის გამრავლებას“. აი, როგორ აყენებენ ფაშისტები საკითხს: მუშისადმი დახმარების გაწევა — ეს თურმე ლუმპენ-პროლეტარიატის გამრავლებას ნიშნავს.

ამ საკითხზე კიდევ უფრო კონკრეტულად ილაპარაკა პროფკავშირების უმაღლესმა კომისარმა ლეიმ იმ თავის სიტყვაში, რომელიც ფაშისტურ პროფკავშირთა ფუნქციონერების სხდომაზე 20 ივნისს წარმოსთქვა. მან აშკარად განაცხადა: „მუშებმა სოციალური დაზღვევის წესით დახმარება უნდა მიიღონ თავის მიერ შეტანილი სადაზღვევო ანარიცხების ოდენობის მიხედვით. სახელმწიფო და მეწარმე თავისუფლდებიან სადაზღვევო შესატანთა ტვირთისაგან“.

მაშ ასე: ძირს სახელმწიფო დახმარება, ძირს სოციალური დაზღვევა, — ასეთია ფაშიზმის პროგრამა და ეს უნდა ვუამბოთ მუშებს.

საბჭოთა კავშირში პროფკავშირების ფუნქციები მუშათა მომსახურების დარგში უზარმაზრად ფართოვდება; პროფკავშირებს გადაეცემათ უამრავი თანხები. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, მლიქვნელ პროფკავშირებსაც ართმევენ მათი წინანდელი ძალის და გავლენის ნაშთებს, იმ ძალისა და გავლენისა, რომელსაც მუშათა კლასმა ბურჟუაზიასთან მრავალწლოვანი პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლით მიაღწია. ჰიტლერი უსწორდება გერმანიის პროფკავშირებს, ანადგურებს პროფმოძრაობას, სდევნის პროფკავშირთა დემოკრატიის უკანასკნელ ნაშთებს. პროფკავშირებს წართმეული აქვთ ყოველგვარი დამოუკიდებლობა და სავსებით და მთლიანად ბურჟუაზიულ დიქტატურას ემორჩილებიან. რადა არის თითონ ფაშისტური პროფკავშირი? ამას წარმოიდგენთ ქარხკომის მაგალითით, რომელიც ფაშისტურ პროფკავშირთა უმაღლესმა კომისარმა ლეიმ ასე დაახასიათა: „ქარხკომი შესდგება მუშებისა, მოსამსახურეებისა და მეწარმეთაგან. ამასთან ერთად, ქარხკომს მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს, ყველაფერს კი მეწარმე სწყვეტს“.

ამნაირად, ფაშისტები საწარმოში ქარხკომის როლს ნულად აქცევენ და მეწარმის დამხმარე ორგანოდ ხდიან. ფაშისტები ამას „ასაბუთებენ“ მუშათა კლასისადმი ახალი ცილისწამებით. ჰიტლერის აზრით, ქარხკომს ყოველგვარი დამოუკიდებლობა თურმე იმიტომ უნდა წაერთვას, რომ მუშებსა და პროფკავშირებს „არავითარი წარმოდგენა არ აქვთ წარმოებაზე“.

თუ რანაირი წარმოდგენა აქვთ მუშებს წარმოებაზე — ამას ყველაზე უკეთ ჩვენი რევოლუციის გამოცდილება, საბჭოთა მუშების გამოცდილება მოწმობს. თქვენ გახსოვთ, როდესაც ჩვენს წინაშე იდგა კაპიტალისტებისაგან ქარხანა-ფაბრიკების ჩამორთმევის საკითხი, ჩვენ გვაშინებდენ: „სად მიიწევთ? სად გინდათ ცხვირი წაჰყოთ? სად შეგიძლიათ თქვენ ამ საქმის თავის გართმევაო“ და სხვ.

ახლა კი მუშათა კლასს შეუძლია უთხრას გერმანელ ამხანაგებს და ყველა კაპიტალისტურ ქვეყანათა მუშებს: საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლამ ხუთმეტი წლის განმავლობაში, სავსებით და მთლიანად გაამართლა ამხ. ლენინის მითითებანი ოქტომბრის რევოლუციის აუცილებლობის, მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების დაპყრობის აუცილებლობის შესახებ (ტაში).

ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ კაპიტალისტური ქვეყნების ყველა მუშას: ჩვენ არა თუ აღვადგინეთ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დანგრეული მეურნეობა, არამედ ხუთწლედი 4 წელიწადში შევასრულეთ და ავაგეთ ახალი გიგანტები. ჩვენ შევქმენით ახალ ტექნიკურ ბაზაზე დამყარებული დარგები მრეწველობისა და ახლა ვეწყებით ამ ტექნიკის დაუფლებას. მთელი ჩვენი ბრძოლაა — იმის დამადასტურებელი, რომ როცა მუშათა კლასი ფაბრიკა-ქარხნებს ხელთ იგდებს, იგი შესძლებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის აშენებას და საწარმოთა გაძღოლას ყოველგვარ კაპიტალისტთა გარეშე (ტაში).

საქმეს მივუდგეთ როგორც ნამდვილი პატრონები

ჩვენ სოციალური დაზღვევის სრული პატრონები ვხდებით, და ეს უდიდეს მოვალეობას და პასუხისმგებლობას გვაკისრებს. საქმე ხომ მარტო ის როდია, რომ სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი პროფკავშირების სალაროს შემოსავალში გავატაროთ. (სიცილი. ტაში). არა, ამხანაგებო. აქ მთელი სიგრძე-სიგანით დგება იმის საკითხი თუ როგორ დაეუფლებიან პროფკავშირები ამ საქმეს, როგორ გააუმჯობესებენ ისინი ამ საქმეს, როგორ წასწევენ წინ სოციალური დაზღვევის უზარმაზარ საქმეს ისე, რომ მან მართლაც უკეთ გაუწიოს მომსახურება მუშებს.

ეს დიდი და რთული საქმეა. დააკვირდით თუნდაც იმას, თუ როგორ ნაწილდება ეს ოთხ მილიარდ ოთხას ოცდათერთმეტი მილიონი მანეთი მუშათა მომსახურების სხვადასხვა სახის შორის.

დახმარება შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო და უზრუნველყოფის დამატებითი სახეები სოციალური დაზღვევის 1933 წლის ბიუჯეტში უდრის: 8.014 მილ. მანეთს; პენსიების და შრომა-მოწყობის ხარჯები 582 მილიონ მანეთს; სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა (დასასვენებელი სახლები, ფიზკულტურა, პროფილაქტიკური დახმარების და მუშათა დასვენების დანარჩენი სახეები) — 208 მილიონ მანეთს; დიეტური კვება — 35 მილიონ მანეთს; საექიმო დახმარება და სავადმყოფოთა მშენებლობა — 920 მილიონ მანეთს; საბავშო დაწესებულებათა მშენებლობა და შენახვა — 189 მილიონ მანეთს; მუშათა საბინაო მშენებლობა — 600 მილიონ მანეთს.

უკვე მარტო ეს ნუსხა ცხადყოფს სოციალური დაზღვევის ფუნქციების მრავალფეროვნებას და ჩვენი მომავალი მუშაობის სირთულეს. ერთი საქმეა ილაპარაკო სოციალურ დაზღვევაზე, ილაპარაკო ამ ციფრებზე, ხოლო სულ სხვაა, გადააქციო ეს ციფრები მუშის კონკრეტულ დახმარებად. გადააქციო დახმარებად ბინების მშენებლობის, პენსიების და სხვათა სახით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუშაობისათვის ახლა ჩვენ პასუხი მოგვეთხოვება. თუ ცუდად ვიმუშავებთ, მუშები იტყვიან: „ამას პროფკავშირები უძღვებიან, ისინი უხეიროდ მუშაობენ ამიტომაც ცუდად არის საქმეო“.

საქმე სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ; ეს კი ნიშნავს ზედმიწევნით დაეუფლო მას, კონკრეტულად და ნათლად წარმოიდგინო ახალი ფუნქციები, მთელი შენი მუშაობა მუშათა ფართო მასებზე დაყრდნობით, ამ მასების აქტიური დახმარებით აწარმოო.

მე ეჭვი არ მაქვს, რომ ამ საქმეს თავს გავართმევთ. ეს უდაოა.

სოცდაზღვევის ორგანოების განკარგულებაში არის 311 დასასვენებელი სახლი. 73 ათასი საწოლით, 98 სანატორიუმი, აქედან საკურორტო ადგილებშიაც, 19.925 საწოლით. დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების ღირებულება, მოწყობილობის ჩათვლით, აღემატება 150 მილიონ მანეთს. დასასვენებელი სახლების გამტარუნარიანობა შეადგენს 1.140 ათას კაცს ორი კვირის შვებულების პირობებში. სანატორიუმებში გამტარუნარიანობა ერთი თვის დასვენების დროს შეადგენს 141.330 კაცს. ხომ ხედავთ, თუ რა დიდძალი ხალხი უნდა გაგზავნონ პროფკავშირებმა 1933 წელს დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე!

ჩვენს განკარგულებაში გადმოდის ახალი მშენებლობაც: შენდება 500 დასასვენებელი სახლი, რომლებიც ნავარაუდევია 16.700 კაცისათვის და 29 სანატორიუმი, ნავარაუდევი 10.925 კაცისათვის. კაპიტალური დაბანდებანი ამ ახალ მშენებლობებში შეადგენს 158 მილიონ მანეთს.

როგორც ხედავთ, მეტად სერიოზული, დიდი მეურნეობაა, რომელიც მოითხოვს უაღრესად ენერგიულ, შეუპოვარ მუშაობას პროფკავშირების მხრით. მაგრამ ამითაც არ ამოიწურება მთელი მეურნეობა. დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებთან არის დიდი დამხმარე მეურნეობანი, რომელთა საერთო სათესი ფართობი აღემატება 41.000 ჰექტარს. უკვე არის 5000 მეწველი პირუტყვი, 10.000-ზე მეტი ღორი, რამდენიმე ათეული ათასი ფრინველი და სხვა.

ამასთან მიიღეთ მხედველობაში, რომ ეს მეურნეობა სოცდაზღვევის ორგანოებისთვისაც ახალ რამეს წარმოადგენს. მხოლოდ მეორე წელიწადია, რაც ეს საქმე დავიწყეთ. ასე რომ პროფკავშირების წინაშე დიდი პერსპექტივებია გაშლილი დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმებისათვის საკუთარი სასურსათო ბაზის შესაქმნელად.

მთელი ეს უზარმაზარი მეურნეობა მოითხოვს პროფკავშირებისაგან — გამოყოთ ისეთი ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ მთელი ბოლშევიკური პატიოსნებით მოეკიდონ ამ მეურნეობას. საჭიროა, რაც შეიძლება ნაკლებნი იყვნენ სხვის ხელში შემყურენი, რომელნიც საქმის ინტერესებზე კი არ ზრუნავენ, არამედ ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ ვინმეს.

პროფკავშირებს ჰყავთ აუარებელი ხალხი, რომელთაც გააჩნიათ სამეურნეო მუშაობის გამოცდილება, რომელთაც მუშის პატიოსნებით შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ მშენებლობის საქმეს, ამ მეურნეობის გაშლის საქმეს და რომელნიც გადაჭრით შეებრძოლებიან სოცდაზღვევის ორგანოებში ამჟამად არსებულ ბიუროკრატიულ მოვლენებს.

რამდენიმე სიტყვა ბავშვთათვის ზრუნვის შესახებ. საბავშო ბაგების შესანახად 1933 წელს იხარჯება 81 მილიონი მანეთი, ხოლო იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც ამ ბაგებმა უნდა მოიცვან, აღემატება 366.100-ს.

საბავშვო ბაღების შესანახად იხარჯება 48 მილიონი მანეთი და მასში ჩაბმულია ერთნახევარი მილიონი ბავშვი.

მოწაფეების კვებისთვის იხარჯება 25 მილიონი მანეთი. სკოლის ასაკამდე ბავშვების და პიონერების ყოველგვარ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაზე — 3 მილიონი მანეთი. სარძეო სამზარეულოებზე — 4,5 მილიონი მანეთი და დამატებით, მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში საბავშო ბაგებისათვის გადადებულია 5.106.000 მან.

ეს ციფრები იმისათვის მოვიყვანე, რომ განსაკუთრებით აღვნიშნო ეს დარგი, რომელმაც, პირდაპირ უნდა ითქვას, ვერ ჰპოვა განვითარება სოციალური დაზღვევის ორგანოებში. ბავშვისთვის ზრუნვას კი ამჟამად კოლოსალური მნიშვნელობა აქვს, რადგან იზრდება ქალთა ჩაბმა მრეწველობაში. მუშა-ქალის როლი წარმოებაში წლიდან-წლობით ძლიერდება. პროფკავშირებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომ მუშა-ქალი, ბავშვის დედა, დამშვიდებით გრძნობდეს თავს წარმოებაში, შეეძლოს თავისი ძალღონე მოახმაროს წარმოებას, თავისი ძალღონე მოახმაროს წარმოებას, თავისი ლებუ უშუალოდ დგას მის წინაშე, როგორც საწარმოს მუშა-ქალის წინაშე. ეს უდიდესი ამოცანაა, რომლის გადაჭრას ყველა ჩვენ, [illegible], სერიოზულად უნდა შევუდგეთ. აქ თვით მუშა-ქალის როლი კოლოსალური უნდა იყოს. ჩვენი წრიდან უნდა გამოვყოთ დიდძალი მუშა-ქალნი, რომლებსაც შეეძლებათ ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს და ჩვენი დახმარებით სათანადო სიმაღლეზე დააყენონ ზრუნვა ბავშვისათვის, დაწყებული იმ მომენტიდან, როცა იგი დაიბადება, სკოლაში ივლის, პიონერთა ორგანიზაციაში შევა, როცა უკვე კომკავშირელი გახდება და როცა, ბოლოს, შედის საწარმოში.

ყველაფერი ეს უნდა გააკეთონ პროფკავშირებმა. აქ, ამხანაგებო, ვერავიზე მოვუთითებთ, ამან და ამან უნდა გააკეთოს ეს საქმეო. ჩვენ, მუშათა კლასმა, პროფკავშირებმა, თითონ უნდა მოვკიდოთ ხელი ამას, ჩვენ თითონ უნდა გავაკეთოთ ეს.

სოციალური დაზღვევის მთელი საქმის გაუმჯობესების საკითხის სიმწვავე და სერიოზულობა პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს თავისი რიგების გარდაქმნის ამოცანას. ცხადია, ცენტრალურ ლოზუნგს ჩვენს მუშაობაში წარმოადგენს ლოზუნგი — პირით წარმოებისაკენ. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ უკეთ განვახორციელოთ ეს ლოზუნგი, ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ სოციალური დაზღვევა, რომელსაც უდიდესი ადგილი უკავია მუშების მომსახურების მთელ საქმეში. ეს არის პროფკავშირების პირდაპირი და უშუალო ამოცანა.

აქ მთელი სიგრძე-სიგანით წინ დგება როლი პროფკავშირისა, რომელიც ამ საქმეს უნდა მოუდგეს როგორც კარგი პატრონი, რომელმაც წესრიგი და დისციპლინა უნდა დაამყაროს.

ყოველგვარი უპირატესობა — დამკვრელებს და კადრის მუშებს

სოციალური დაზღვევის საქმე ჩვენ ნამდვილად უნდა გადავაქციოთ მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრ ბერკეტად. აქ უნდა გამოვიჩინოთ შემოქმედებითი ინიციატივა. ერთი საქმეა განახორციელო კონტროლი, ხოლო სულ სხვა საქმეა მთელი საქმის სრული პატრონი გახდე.

უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი ბიუროკრატიზმი და გათანაბრება სოციალურ დაზღვევაში. ჩვენ უნდა გადავსინჯოთ სოციალური დაზღვევის მთელი პრაქტიკა დამკვრელების და ძველი საკადრო მუშების უპირატესი მომარაგების თვალსაზრისით. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას მუშა-ხელის დენადობასთან. ჩვენ ისე უნდა მოვმართოთ სოციალური დაზღვევის ბერკეტი, რომ ვიბრძოლოთ წარმოებაში მუშების შენარჩუნებისათვის და მაგრად დავარტყათ მოხეტიალეებს, სიმულიანტებს და წარმოების დეზორგანიზატორებს. ვიცავთ რა მუშათა კლასის ინტერესებს სოციალისტურ მრეწველობაში, ჩვენ უკვე ვერ ავიტანთ ისეთ მდგომარეობას, როცა მოხეტიალის და გამცდენის უზრუნველყოფა ზოგჯერ მოწინავე დამკვრელი მუშის თანაბრად ხდება. ამას პროფკავშირები არ დაუშვებენ!

დამკვრელობის და სოცშეჯიბრების წახალისების მიზნით ჩვენ უნდა შევიტანოთ ცვლილებანი მოქმედ კანონმდებლობაში სოციალურ დაზღვევის, უზრუნველყოფას შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, მუშების უზრუნველყოფის, პენსიების და სხვ. შესახებ.

ახლა ძნელია ამ ცვლილებათა დაწვრილებით გათვალისწინება, მაგრამ მათი მიმართულება სავსებით ნათელია. იგი მდგომარეობს იმაში, რომ შრომის უნარის დროებით დაკარგვის და სხვა შემთხვევების გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო საერთო საწარმოო სტაჟი, როგორც ეს დღემდის ხდებოდა, არამედ აგრეთვე მუშაობის ხანგრძლივობა ერთ საწარმოში. საჭიროა, სოციალური დაზღვევის ხაზით ყოველგვარი გასაცემი დახმარების ოდენობის გამოანგარიშების დროს ნამდვილი დამკვრელები და შეჯიბრებაში ჩაბმულნი მაქსიმალური პრივილეგიებით სარგებლობდენ. პროფკავშირების მუშაობის ცენტრში სოციალური დაზღვევის ხაზით უნდა მოვაქციოთ ზრუნვა იმნაირ მუშაზე, რომელიც აქტიურად იბრძვის სამრეწველო საფინანსო გეგმის და გამომუშავების ნორმების შესრულებისათვის. ამავე დროს უნდა წავართვათ მოხეტიალეებს, გამცდენებს, წამგლეჯებს ყოველგვარი უფლება ისარგებლონ სოციალური დაზღვევის მომსახურებით.

აი ეს იქნება მუშური, მზრუნველური მიდგომა საქმისადმი.

სწორედ ასევე უნდა მივუდგეთ საქმეს პენსიის განსაზღვრისათვის შრომის სტაჟის გამოანგარიშების დროს — მივიღოთ მხედველობაში არა მარტო შრომის სტაჟი, არამედ მუშაობის ხანგრძლივობაც ერთ საწარმოში. მართლაც წინათ მუშაობას და პენსიის დამსახურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. კითხვა იბადება, განა პროლეტარულ სახელმწიფოში პენსიის გამომუშავება და დამსახურება მუშის ღირსების საქმე არ არის? ამიტომ ჩვენ, პროფკავშირებმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ საქმეს და დავაწესოთ პენსიები ისე, რომ ეს დაკავშირებული იყოს ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის ვადასთან. ჩვენ გადამწყვეტი ლახვარი უნდა ჩავცეთ დენადობას, უნდა შევქმნათ მუშებში სტიმული ხანგრძლივი მუშაობისათვის საწარმოში.

ჩვენ უნდა დავაყენოთ აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ სანატორიუმებში, კურორტებსა და დასასვენებელ სახლებში იგზავნებოდენ მხოლოდ ისეთი მუშები და მოსამსახურეები — პროფკავშირთა წევრები, რომელთაც აქვთ სტაჟი არა ნაკლებ ორი წლის მუშაობისა მოცემულ საწარმოში. და პირველ ყოვლისა კი — დამკვრელები. ჩვენ უნდა დავაწესოთ უპირატესი გაგზავნა საბავშვო ბაგებში, მოედნებზე, პიონერთა ბანაკებში კავშირის იმ წევრთა შვილებისა, უწინარეს ყოვლისა იმათი შვილებისა, ვინც ნამდვილად დამკვრელნი არიან, რათა საქმით მივანიჭოთ მას უპირატესობა იმათთან შედარებით, ვინც დამკვრელნი არ არიან.

აი, ამხანაგებო, ამ მიმართულებით — სამაგალითო მუშების წახალისების და წარმოების დეზორგანიზატორებთან ბრძოლის ხაზით უნდა გადავსინჯოთ სოციალური დაზღვევის წესი.

ყველაფერი ეს უნდა ავუხსნათ მუშებს, მათთან ერთად განვიხილოთ ეს საკითხები და შევიტანოთ მთავრობაში.

და აი, თუ ჩვენ ასე, პატრონის მზრუნველი თვალით მივუდგებით საქმეს, ასე წარვმართავთ სოციალური დაზღვევის საქმეს, მაშინ მუშა და მუშა-ქალი იტყვიან: „დიახ, პროფკავშირი იქცევა როგორც პატრონი, არ აძლევს მოხეტიალეებს, გამცდენებს და მუშების და მეურნეობის სხვა მტრებს საშუალებას გაანიავონ სახელმწიფო სახსრები. პროფკავშირი მართებულად იქცევა, — იტყვიან ისინი, — როდესაც ეხმარება იმას, ვინც მუშაობს ისე, როგორც შეეფერება პატიოსან მუშას, როგორც შეეფერება ქვეყნის პატრონს. — დიახ, იტყვიან ისინი, — პროფკავშირი მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე, ჩვენი მეურნეობის, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე დგას“.

ახლა შრომის დაცვის დარგზე. შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის უკეთ დაყენების და ამ საქმის უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობის მიზნით, საჭიროა შრომის დაცვის, უშიშროების ტექნიკის და სამრეწველო სანიტარიის ინსპექცია გადაეცეთ კავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, ხოლო ადგილებზე — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს.

საკავშირო პროფსაბჭომ უნდა განახორციელოს შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის საერთო ხელმძღვანელობა, აგრეთვე დაამუშაოს ახალი საერთო კანონმდებლობა შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის დარგში, დაამტკიცოს სპეცტანისამოსის, სპეცფეხსაცმლის და სპეცკვების ნორმები, დაადგინოს წესები, რომლებიც არეგულირებენ სამუშაო დროს და დასვენებას, დაამუშაოს უშიშროების ტექნიკის წესები და ნორმები.

შრომის დაცვის ფონდები სამეურნეო ორგანოების ხელშია; ისინი ხარჯავენ ამ ფონდებს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც განსაზღვრავენ პროფორგანოებთან შეთანხმებით. შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორების ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს ფაბქარხკომებს.

საჭიროა, შრომის დაცვის საქმეს უშუალოდ მოჰკიდონ ხელი თვით კავშირთა ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილებზე — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა. ეს საჭიროა იმიტომ, რომ შეუძლებელია ახლა ლაპარაკი შრომის დაცვაზე „ზოგადად“, არამედ საჭიროა ლაპარაკი შრომის დაცვაზე კონკრეტულად. უნდა იცნობდე შრომის დაცვას, უნდა იცოდე, რა უნდა გაკეთდეს, კარგად უნდა იცნობდე მრეწველობის მოცემულ დარგს, უნდა იცნობდე საწარმოს, იცნობდე მუშების აზრს, ყურს უგდებდე მათ რჩევას.

საჭიროა, შრომის საზოგადოებრივი ინსპექტორები რაც შეიძლება მეტი იყვნენ. თუ ჩვენ დღეს გვყავს, როგორც უკვე აღვნიშნე, ორმოცი ათასი საზოგადოებრივი ინსპექტორი შრომის დარგში, საჭიროა გვყავდეს ასეული ათასები, რომელთაც უნდა შეეძლოთ ნამდვილად ბრძოლა შრომის დაცვის საქმისათვის. ახლა, როცა საწარმოში მიდიხარ, ვერავინ შემოგჩივლებს სპეცფეხსაცმელი ან სპეცტანისამოსი ცოტა არისო. მაგრამ ყველა ჩივის, რომ იგი ეძლევა არა იმას, ვისაც უნდა მიეცეს. განა ეს არ არის ნათელი შედეგი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებისა შრომის დაცვის საკითხებისადმი და იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პროფკავშირებს ჯერ კიდევ არ მიაჩნიათ ეს საქმე თავის საქმედ? ჩვენ შეგვიძლია და კიდევ უნდა მოვაწესრიგოთ შრომის დაცვის საქმე და ისე გამოვიყენოთ ის მნიშვნელოვანი რესურსები, რომლებსაც სახელმწიფო იძლევა შრომის დაცვისათვის — რომ ამან სარგებლობა მოუტანოს მუშას და მუშამ დაინახოს მისთვის პროფკავშირების ზრუნვა.

რა ძირითადი ორგანიზაციული ღონისძიებანი გამომდინარეობენ პროფკავშირებისათვის სოციალური დაზღვევის გადაცემიდან? ძირითადია სოციალური დაზღვევის გარდაქმნა დარგობრივი, საწარმოო პრინციპის მიხედვით, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავაუქმოთ ტერიტორიული საოლქო, რაიონული დამზღვევი სალაროები და მათი ფუნქციები უშუალოდ პროფკავშირებს გა-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

მსგავს ყოველგვარ შუათანა მიმდინარეობასაც, ტროცკიზმზე ლენინი ამბობდა: „ინტელიგენტურ ინდივიდუალიზმს, რომელმაც თავი გამოააშკარავა პირველი პარაგრაფის შესახებ დავაში, გამოამჟღავნა ოპორტუნისტული მსჯელობისა და ანარქისტული ფრაზისადმი მიდრეკილება, — ყოველგვარი პროლეტარული ორგანიზაცია და დისციპლინა **ბატონყმობად** ეჩვენება“, მან ტროცკიზმი დაღდა ჯერ კიდევ 1903 წელს, როგორც „ბატონური ანარქიზმი“. ათეული წლების განმავლობაში ჩვენ ვებრძოდით ამ ბატონურ ინდივიდუალიზმს, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ პარტიის მე-2 ყრილობაზე გამოიჩინა ტროცკიმ.

ის დავა, რომელსაც მაშინ მე-2 ყრილობაზე ვაწარმოებდით წესდების პირველი პარაგრაფის შესახებ — ეს იყო ფრიად საგულისხმო დავა მუშათა კლასის ორგანიზაციის საფუძვლების თაობაზე. ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ **მუშათა კლასისთვის** — ორგანიზაცია ყველაფერია, რომ პარტიისათვის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდისთვის, იმდენად მნიშვნელოვანი არაა რიცხვი, იმიტომ, რომ ავანგარდი შესაძლებელია ერთიათად, ერთიასად და უფრო მეტადაც ძლიერი იყოს, ვიდრე მისი რიცხობრიობა, რომ მუშათა კლასმა თავისი **მედგარი** საბრძოლო ორგანიზაცია უნდა შექმნას.

როდესაც მე-2 ყრილობაზე მომხდარი გათიშვის შემდეგ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი წუწუნებდა ამ გათიშვის გამო, ლენინი სწერდა: „ერთ-ერთი ჩვენი ძალაა — აშკარა პირდაპირობა და ენერგიის შემჭიდროება. ენტუზიაზმი. ჩვენ გათიშვა გამოვაცხადეთ. ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე ვპერიოდელებს. ჩვენ ან რკინის ორგანიზაციად შევკრავთ იმათ, ვისაც ბრძოლა სურს და ამ პატარა, მაგრამ მტკიცე პარტიით დავამსხვრევთ ახალი „ისკრელების“ მრავალფეროვანი ელემენტების შეკოწიწებულ უცნაურობას, ან ჩვენი საქციელით დავამტკიცებთ, რომ ღირსნი ვართ დაღუპვისა“... (ტ: მე-7, 101).

ჩვენ ლენინის გზას გავყევით ჩვენ შევქმენით სწორედ ასეთი მებრძოლი ორგანიზაცია, რკინისებური დისციპლინით, უძლეველი ცენტრით; ჩვენ შევქმენით ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის მაღლა აყენებდა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას. ჩვენ შევძელით იმ პატარა ორგანიზაციიდან, რომელიც მე-2 ყრილობის პერიოდში სულ ბევრი, პარტიის ასეულ წევრ ბოლშევიკს ითვლიდა, გადავქცეულიყავით ისეთ პარტიად, რომელსაც სამ მილიონ წევრსა და კანდიდატზე მეტი ჰყავს; შევძელით გადაგვქცეულიყავით ისეთ პარტიად, რომელმაც 1917 წ. ბურჟუაზია დაამხო, ხელისუფლება დაიპყრო და 16 წლის განმავლობაში ძლევამოსილად აშენებს სოციალიზმს. დედამიწის ერთ მეექვსედზე (ტაში).

ამ ორგანიზაციის მეოხებით ჩვენ შევძელით სათავეში ჩავდგომოდით პირველი რევოლუციის [illegible] მასობრივ მოძრაობას [illegible] თქვენგანს ახსოვს ჩვენი არალეგალური პარტიული კომიტეტები, რიცხობრივად უმნიშვნელო ჩვენი ორგანიზაციები ქარხნებში. ჩვენ ვცდილობდით თითოეული ქარხანა ისეთ ციხესიმაგრედ გვექცია, სადაც ბოლშევიკურად აღვზრდიდით მასებს. ეს მასები ჩვენ მოვიმხრეთ არა მარტო ჩვენი აზრების თანმიმდევრობით პროპაგანდით, არამედ **მებრძოლური დაცვით**, იმით, რომ მასებთან ვიყავით კლასობრივი ბრძოლის ყველაზე ძნელ და მძიმე მომენტებში.

ჩვენი ბრალი როდია, რომ 1905 წელს ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ. მაგრამ ჩვენს პარტიას არც რეაქციის პერიოდში აშნევია გზა მან მასებისაკენ მიმავალი ახალი გზები გამონახა, გამონახა მუშაობის ახალი მეთოდები და იმ წლებში მოახერხა ახალი კადრების აღზრდა. ზოგიერთ ძველ ბოლშევიკს უჭირო ზნე სჭირს: იგი გადაჭარბებით ამაყობს იმით, რომ პარტიაში შემოსულა 1905 **წლამდის**, ეს ხანდახან უბრალო ჭახაკოვნობის საქმეა: ისინი სხვა ეპოქაში დაბადებულან, სხვა ეპოქაში გაზრდილან და 1905 წლამდის შესულან პარტიაში. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ის ბოლშევიკები, რომელნიც პარტიაში შემოვიდენ 1 და 2 რევოლუციას შორის არსებული რეაქციის ხანაში, როდესაც განსაკუთრებით ძნელი იყო მუშაობა, როდესაც მრავლად მოიპოვებოდენ რენეგატები, როდესაც თავისუფლად, ციხის გარეშე დარჩენილი ამხანაგების წრე სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, როდესაც განადგურებულ იქნენ ჩვენი პარტიის ცენტრები, — რომ ეს უფრო ახალგაზრდა ბოლშევიკები საუკეთესო ბოლშევიკებს წარმოადგენენ. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია პარტიული სტაჟით თავმოწონება ამ შედარებით უფრო ახალგაზრდა ბოლშევიკების წინაშე, იმ ამხანაგების წინაშე, რომელნიც პარტიაში შემოვიდენ ჩვენი პარტიისათვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდში.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ დაუნდობლად ვერეკებოდით ჩვენი წრიდან ოპორტუნიზმს, სწორედ იმიტომ, რომ დაუნდობლად ვებრძოდით იმ ადამიანებს, რომლებთანაც ხანდახან წლობით მეგობრობა, ერთ ორგანიზაციაში მუშაობა, საუკეთესო ამხანაგური ურთიერთობა გვაკავშირებდა, — სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვეთიშებოდით მათ, როდესაც ისინი არ იზიარებდენ ჩვენი პარტიული ხაზის დაცვის საქმეს, ჩვენ შევძელით უფრო უკეთესად, ვიდრე სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი ძირითადი ბოლშევიკური ბირთვი, ჩვენი ძირითადი კადრები და აღგვეზარდა ამ პერიოდში ახალი მასები. ამის გამო, რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში, ჩვენ ამ ახალი აღმავლობის ხელმძღვანელები აღმოვჩნდით და სათავეში მოვექეცით მას. ჩვენ სწრაფად შევძელით გაგვეძლიერებინა ჩვენი გაზეთის „პრავდა“-ს მუშაობა, მოვახერხეთ გადაგვექცია იგი, როგორადაც წინათ „ისკრა“, მუშათა კლასის ორგანიზაციისა და ბოლშევიკურად მისი აღზრდის მძლავრ პარტიულ იარაღად.

(შემდეგი იქნება)

ამხ. შვერნიკის მოხსენება

დავცეთ. ტერიტორიული სალაროები ალარაა საჭირო. ამ სალაროებმა უკვე მოჭამეს თავისი დრო. ეს სალაროები წარმოადგენდენ საერთო ქვაბს, სადაც დაზღვევის საკითხები წყდებოდა „ზოგადად“. ახლა კი გვესაჭიროება ისეთი სალაროები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი იქნებიან წარმოებასთან, უშუალოდ გაუწევენ სამსახურს მრეწველობის ამა თუ იმ დარგს, მუშების ამა თუ იმ ჯგუფს.

რით უნდა შევცვალოთ გასაუქმებელი ტერიტორიული სალაროები, უფრო სწორად — როგორ მოვაწყოთ ეს საქმე თვით პროფკავშირებში? ამაზე ჯერ კიდევ საჭიროა ბევრი ფიქრი. აქ თავისთავად ისმება დარგობრივი სალაროების საკითხი. მრეწველობის 11 დარგში არსებული დარგობრივი სალაროების მუშაობის გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ. ასეთი სალაროები დავაარსოთ ყველა კავშირის ცენტრალურ კომიტეტებთან.

შემდეგ, უნდა გავაუქმოთ სოციალური დაზღვევის საკავშირო ცენტრალური საბჭო და გადავსცეთ მისი ფუნქციები საკავშირო პროფსაბჭოს. ცხადია, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი და პლენუმი, რომლებმაც უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი სოციალური დაზღვევის საქმეს, ისეთ ორგანოს წარმოადგენენ, რომელიც იქნება ნამდვილი პატრონი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ საქმეს და ამიტომ სავსებით და მთლიანად იკავებს საკავშირო დამზღვევი საბჭოს ადგილს. სოციალური დაზღვევის ხელმძღვანელობა, სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის დამტკიცება და რეგულირება, ბუნებრივია, ეკისრებათ საკავშირო პროფსაბჭოს და პროფსაბჭოებს.

რა მდგომარეობაში იქნება პროფკავშირებისათვის გადასაცემი დასასვენებელი სახლების და კურორტების განაწილების საქმე? სოცდაზღვევის ყველა სანატორიუმი და დასასვენებელი სახლები, რომლებსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ, დამხმარე მეურნეობებთან ერთად უნდა გადავიდეს სამხარეო და საოლქო პროფსაბჭოების გამგებლობაში, ხოლო სოცდაზღვევის ის კურორტები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რომლებსაც საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვთ, უნდა გადავიდეს საკავშირო პროფსაბჭოს გამგებლობაში.

ასეთი გარდაქმნა უზრუნველყოფს პროფკავშირების უშუალო ხელმძღვანელობას დასასვენებელი სახლების და კურორტების მიმართ და თვით მასების ჩაბმას ამ მნიშვნელოვანი საქმის წარმართვის კონტროლში.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს მუშათა მასებისათვის და თუ როგორ ცუდადაა ამჟამად ბევრ ადგილას დაყენებული დასასვენებელი სახლების, კურორტების და სანატორიუმების გაძღოლის საქმე.

თუ დასასვენებლად პირველ რიგში ვაგზავნით მუშებს — სოციალისტური წარმოებისათვის ნამდვილ მებრძოლებს, საჭიროა აგრეთვე სავსებით უზრუნველვყოთ მუშის ეს დასვენება და მკურნალობა. ეს კი ნიშნავს გავაუმჯობესოთ მთელი საქმე დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და კურორტებზე.

კიდევ უფრო ახლოს მასებთან

გადაწყვეტილება საკავშირო პროფსაბჭოსთან შრომის სახალხო კომისარიატის შეერთების შესახებ და საკავშირო პროფსაბჭოსათვის შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციების გადაცემა პროფკავშირებზე ხელთ აძლევს მძლავრ საშუალებას მუშების მატერიალური მდგომარეობის და საყოფა-ცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების აწევისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ამასთან ერთად ძლიერდება პროფკავშირების პასუხისმგებლობაც. არ არის და არც შეიძლება იყოს უფლებები მოვალეობათა გარეშე. ის უფლებები, რომლებიც ჩვენ გვეძლევა, გვაკისრებს აგრეთვე დიდ მოვალეობებსაც.

ამიერიდან სოცდაზღვევის ცუდ მუშაობას ჩვენ ვერავის დავაბრალებთ. ეს მტკიცედ უნდა დავიხსომოთ (სიცილი, ტაში). ახლა სოცდაზღვევის საქმე სავსებით და მთლიანად ჩვენს ხელთაა და ამისათვის ჩვენ ვაგებთ პასუხს. ამ საქმისათვის პასუხისმგებელნი ვიქნებით მუშების წინაშეც და სახელმწიფოს წინაშეც.

ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად, როგორც უკვე ვთქვი, მთლიანად უნდა გარდავქმნათ საკავშირთაშორისო და საკავშირო ორგანიზაციების მუშაობა. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო საკავშირო საბჭოს, საკავშირთაშორისო და საკავშირო ორგანოების აპარატის აუცილებელი გარდაქმნა სათანადო დებულებების, ინსტრუქციების შემუშავება და სხვ. ესეც უმოკლეს ვადაში უნდა შევასრულოთ, რადგან მუშაობა როდი დაიცდის, სანამ ავმოძრავდებოდეთ. საქმე უნდა მივიღოთ მუშაობის პროცესში.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. როცა ვლაპარაკობ გარდაქმნაზე, მხედველობაში მაქვს აგრეთვე მთელი ჩვენი პროფკავშირული მუშაობის რადიკალურად გაძლიერება. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ თვით მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასების ჩაბმა პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიურ მუშაობაში. საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირთაშორისო და საკავშირო ორგანიზაციების აპარატს თავის გარშემო უნდა ჰყავდეს ჩვენთან ყოველდღიურ მუშაობით დაკავშირებული მოხალისეთა ფართო აქტივი. მთელი ჩვენი მუშაობა უნდა ავაგოთ მუშების საჭიროებებისა და განცხადებებისადმი უაღრესი ყურადღებით მოპყრობის საფუძველზე.

მხოლოდ მაშინ, თუ კიდევ უფრო მეტად ჩავაბამთ მუშებს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, თუ კიდევ უფრო განვამტკიცებთ პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიურ კავშირს მუშებთან, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ავწიოთ კავშირების მუშაობა ჩვენთვის დაკისრებული უდიდესი ამოცანების დონემდე.

კავშირის თითოეულმა მუშაკმა, თითოეულმა პროფორგანიზაციამ უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ ამ პირობების საფუძველზე შესძლებენ პროფკავშირები გამოიყენონ მთელი ის უმდიდრესი შესაძლებლობა, რომელიც გამომდინარეობს მათთვის შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციების გადაცემიდან, რათა კიდევ უფრო მაღლა ასწიონ მუშათა მატერიალური და კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურება. გამოიყენონ ეს ფუნქციები იმისათვის, რომ მთელი ეს უზარმაზარი მუშაობა სოციალური დაზღვევის, შრომის დაცვის, საბინაო მშენებლობის და სხვა დარგებში მთლიანად დაუმორჩილონ მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულებას - ტექნიკის ათვისებას და შრომის ნაყოფიერების აწევას.

მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ თითოეული თქვენგანი, პროფკავშირის თითოეული მუშაკი, თითოეული მუშა და მუშა-ქალი პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებას საკავშირო პროფსაბჭოსთან სსრ შრომის სახალხო კომისარიატის შეერთების შესახებ უპასუხებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და ჩვენი ქვეყნის მუშათა და მშრომელთა უფართოესი მასების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა ყოველმხრივად მომსახურების დარგში გაათკეცებული მუშაობით (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირში

საკავშირო რადიო გამოძახება საუკეთესო სასოფლო საბჭოზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ

მოსკოვი, 8 ივლისი. 19 ივლისს, საღამოს 10 საათზე, ჩატარდება საკავშირო რადიო გამოძახება, რომელიც მიძღვნილია კონკურსისადმი საუკეთესო სასოფლო საბჭოზე. მოწინავე სასოფლო საბჭოები, რაიაღმასკომები, საოლქო და სამხარეო აღმასკომები ერთმანეთს გაუზიარებენ თავის გამოცდილებას მოსავლის აღებისათვის მომზადების შესახებ და მოისმენენ ცენტრალური ორგანიზაციების და სახალხო კომისარიატების ინფორმაციას.

საქ. რადიოგამოძახება დაიწყება საბჭ. კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის შესავალი სიტყვით. შემდეგ გამოვლენ უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. გ. ი. პეტროვსკი, ნოვოსიბირსკის, ბელორუსიის, ხარკოვის და კიევის ოლქების, ჩრდილოეთ კავკასიის, დასავლეთ ოლქის, თათართა რესპუბლიკის და სხვ. წარმომადგენლები; თითეული რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან გამოვლენ ცაკების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების და რაიაღმასკომების წარმომადგენლები (ადს).

ჯემს მატერნის დასახმარებლად

მოსკოვი, 8 ივლისი. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ მიიღო მთელი რიგი ზომები ამერიკელ მფრინავ მატერნისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ორი მძლავრი ჰიდროთვითმფრინავი პოლიარულ მუშაობაში გამოცდილი მფრინავების ხელმძღვანელობით ამჟამად მიემართება ჩუკოტის ნახევარკუნძულისაკენ. ერთი თვითმფრინავთაგანი № 8, მფრინავ ლევანოვსკის ხელმძღვანელობით, უკვე ხაბაროვსკში იმყოფება. მეორე, მფრინავ ბუხგოლცის ხელმძღვანელობით, ჩუკოტის ნახევარკუნძულისაკენ მიფრინავს. მათ დავალებული აქვთ დაეძებონ ანადირში და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მატერნს. ლევანოვსკის თვითმფრინავზე არიან გამოცდილი ტექნიკოსები, რომელთაც შეუძლიათ შეაკეთონ მატერნის თვითმფრინავი. გარდა ამისა, ამ ცოტა ხნის წინად ვლადივოსტოკიდან ბერინგის სრუტისაკენ გასულ ოთხ გემს დაევალა გაუწიონ დახმარება მატერნს (ადს).

გაიხსნა ამხ. ლ. ბერიას სახელობის პიონერთა რესპუბლიკანური ბანაკი

6 ივლისს სოფ. ქვიშხეთის საკურორტო რაიონში (ბორჯომის მახლობლად) მოეწყო პიონერთა რესპუბლიკანური ბანაკის საზეიმო გახსნა, სადაც მოთავსებულია 425 პიონერი.

ბანაკში მოწყობილია სპეციალური ამბულატორია სამი იზოლიატორით, სასადილო, სამზარეულო, ფიზკულტურის მოედანი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, და რადიო. გამოყოფილია სამუსიკო ნაწილის ხელმძღვანელები, ორგანიზებულია სასულე ორკესტრი. ბანაკში მყოფი პიონერები იქ დაყოფენ ერთ თვეს, რის შემდეგ (25 ივლისს) მოვა ახალი ცვლა.

ზაფხულის პერიოდში ბანაკში გატარდება 1000 პიონერი-დამკვრელი მუშების შვილები—70 პროც., კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშების—20 პროც. და დანარჩენ მშრომელთა ბავშვები—10 პროც.

პიონერთა ბანაკს ეწოდა ამხ. ლ. ბერიას სახელი (ადს).

შეუნელებელი ყურადღება სოიას ნათესების დამუშავებას

პარტიის და მთავრობის მიერ დაწესებული გეგმით, ამიერ-კავკასიაში მწკრივთა შორის უნდა დათესილიყო 25.000 ჰექტარი სოია. მიუხედავად მთელი რიგი არახელსაყრელი მომენტებისა, თესვის წინ და მის განმავლობაში, ეს გეგმა შესრულებულია 100,8 პროც., ხოლო კონტრაქტაციის გეგმა—103 პროც. ეს იმით აიხსნება, რომ ამ კამპანიის ცოცხალ, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევდა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი, პირადად, ამხ. ბერია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს მიწსახკომი და კომკავშირი—სოიას შეფი.

თესვის და კონტრაქტაციის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების მხრით მოწინავენი აღმოჩნდენ: აჭარისტანის რესპუბლიკა, ზესტაფონის, აბაშის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ლანჩხუთის, ჩხარის, და ჭიათურის რაიონები, საკმაოდ კარგად მუშაობდენ ხონის, ბაგდადის, ქუთაისის და მარტვილის რაიონები.

თესვის გეგმა საქართველოში გასულ წელთან შედარებით შესრულდა თითქმის ერთი თვით ადრე და ძირითადად დაცულ იქნა აგროტექნიკური ვადები, რასაც ადგილებზე ხელი შეუწყვეს რაიონულმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა. უკრაინას, ჩრდილოეთ კავკასიის, შორეულ აღმოსავლეთის მხარეს, კაზაკსტანსა და ქვემო-ვოლგის მხარესთან შედარებით, სოიას თესვის და კონტრაქტაციის მხრით საქართველო საბჭოთა კავშირში ყველაზე მოწინავე აღმოჩნდა.

პირველი გათოხნა, საქართველოს მიწსახკომის ცნობებით, 5 ივლისისათვის შესრულებულია 92 პროც., 25.000 ჰექტარიდან გათოხნილია 23.000 ჰექტარი. გათოხნის გეგმა 100 პროც. შეასრულეს აჭარისტანმა, ჩხარის, ჭიათურის, ოზურგეთის და ვანის რაიონებმა. დანარჩენი რაიონები ამთავრებენ პირველ გათოხნას, მაგრამ ვადა უკვე გავიდა.

მეორე გათოხნაში კი დასავლეთ საქართველოს რაიონები დიდათ ჩამორჩნენ, გეგმა 5 ივლისისათვის შესრულებულია მხოლოდ 9,2 პროც.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. რაც მთავარია, ახლავე უნდა ავტეხოთ განგაში, რათა ჩამორჩენილმა რაიონებმა მოიკრიფონ მთელი ძალღონე არა მარტო იმისათვის, რომ მეორე გათოხნა ჩაატარონ, არამედ იმისთვისაც, რომ მესამე გათოხნა დროზე იქნას შესრულებული, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული სოიას კარგი მოსავლის მიღება. უკვე ფაქტია მეორე გათოხნის გაჭიანურება, მაშასადამე, დაგვიანდება მოსავლის აღებაც. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მყოფ ბოლშევიკ-დამკვრელებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს, რომელთაც შეასრულეს პარტიის და მთავრობის უფრო მნიშვნელოვანი დავალებები, არ შეშვენით ასე სამარცხვინოდ ჩამორჩენა. არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ საბჭოთა მეურნეობანი, კოლმეურნეობანი, ერთპიროვნული მშრომელი რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და ცოცხალი, რეალური დახმარებით, სოიას შეფის—ლენინური კომკავშირის დახმარებით, შესძლებენ მუშაობის პროცესში მეორე გათოხნის შეცდომების გამოსწორებას. ამაში მათ ხელს შეუწყობენ რაიონული მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთები, მუშკორები, და სოფელკორები, რომლებიც ჩაებმიან სოიას გათოხნის კამპანიის შემოწმების და დახმარების რეიდში, ეჭვს გარეშეა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთაც მთელი 100 პროც. ჩაატარეს მარცვლეული და სხვა კულტურების თესვა და კონტრაქტაცია, ღირსეულად და ვადაზე შეასრულებენ სოიას დამუშავების, აღების და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების გეგმებს.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის მიწსახკომებმა, საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა, სოიას საკავშირო ტრესტმა უნდა წაახალისონ დაჯილდოების გზით ისინი, ვინც სანიმუშოდ ჩაატარა გათოხნის კამპანია და მოსავლის აღება საქართველოში.

სოიას მოსავალს საშუალოზე კარგი პირი უჩანს, ჰექტარზე 8,1 ცენტნერის ნაცვლად მოსალოდნელია 5-7 ცენტნერის აღება. ეს საშუალებას გვაძლევს ვადაზე და გადაჭარბებით შევასრულოთ დავალება სოიას დარგში.

მთელი ძალები სოიას დამუშავების გეგმების ვადაზე შესრულებას და აღების კამპანიისათვის მზადებას.

ა. ზამოგილნი.

აღვკვეთოთ დამახინჯებანი სასურსათო ბარათების გაცემა-აღრიცხვაში

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ საქ. მომარაგების სახ. კომისარიატის საგულისხმო დადგენილებას სტალინისის რაიონში პურის ხარჯვის და სასურსათო ბარათების გაცემის შესახებ.

სტალინისის რაიაღმასკომის მომარაგების განყოფილების და აგარის შაქრის ქარხნის და ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთ მუშაკთა აშკარა დაუდევრობის შედეგად, როგორც ქარხანაში, ისე მეურნეობაში ადგილი ქონდა პურის გადახარჯვას 5 ტონას რაოდენობით; რამ გამოიწვია ეს? უპირველეს ყოვლისა იმან, რომ როგორც ქარხანაში, ისე მეურნეობაში მოუწესრიგებელი იყო სასურსათო ბარათების გაცემა და მათი აღრიცხვა; პურის გაცემა სწარმოებდა მუშათა ფაქტიური რაოდენობის აღრიცხვის გარეშე, ამ საქმეზე არ იყო განხორციელებული მუშათა კონტროლი და სხვ.

საქ. მომარაგების სახ. კომისარიატმა უკვე მიიღო შესაფერი ზომები ამ დამახინჯების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ეს მაგალითი არ უნდა დარჩეს დანარჩენი რაიონების და სხვა საწარმოების მუშაკთა ყურადღების გარეშე; საქმე იმაშია, რომ სასურსათო ბარათების გაცემის და აღრიცხვის დარგში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბევრ რაიონში და საწარმოში, რასაც შეუძლია სხვაგანაც გამოიწვიოს დამახინჯებანი პურის ფონდების ხარჯვაში.

როგორც გამოკვლევისას გამომჟღავნდა, საქართველოს თითქმის ყველა რაიონებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასურსათო ბარათების გაცემა და აღრიცხვა; ზოგიერთი რაიონი (ახალციხისა, გორისა, ზუგდიდისა, ზესტაფონისა, მცხეთისა და სხვ.) ხშირად არ ადგენს მომარაგების კომისარიატში ანგარიშებს სასურსათო ბარათების გაცემის და ჩამორთმეული ბარათების რაოდენობის შესახებ. ზოგიერთ რაიონში (მცხეთისა, ლანჩხუთისა, ახალციხისა, ლაგოდეხისა და სხვ.) აქამდე არაა მოწყობილი სასურსათო ბარათების გაცემის ბიურო. ამ რაიონებში სასურსათო ბარათების დარიგება დავალებული აქვს სამომხ. კოოპერაციას, რაც დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს, რადგან არსებითად ეწინააღმდეგება საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და საქ. სახკომსაბჭოს 1932 წლის 4 და 19 დეკემბრის დადგენილებას.

სასურსათო ბარათების გაცემის აღრიცხვის მოუგვარებლობა პირდაპირ უწყობს ხელს პურის ფონდების განიავებას და სხვადასხვა ბოროტმოქმედებას, რაც ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი. რაიონის მომარაგების განყოფილებებმა და შესაფერმა საკონტროლო ორგანოებმა მთლიანად და ურყევად უნდა გაატარონ ცხოვრებაში ამ საკითხის ირგვლივ მიცემული დირექტივები და სასტიკად დასაჯონ დამნაშავეები, რომლებიც აფერხებენ სასურსათო ბარათების გაცემის აღრიცხვის და ამ ბარათების შენახვის საქმის მოწესრიგებას.

არ დაუშვათ ზედმეტი სასურსათო ბარათების გაცემა და პურის ფონდების განიავება — ასეთია ამოცანა, რომლის სწორად განხორციელებისათვის პირველ რიგში მომარაგების ორგანოები აგებენ პასუხს.

სტალინისის რაიონში პურის ხარჯვის და სასურსათო ბარათების გაცემის შესახებ

საქ. ს. ს. რ. მომარაგების სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილება № 12.

აგარის შაქრის ქარხანასა და შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობაში პურის დახარჯვის შემოწმებამ გამოარკვია დანაშაულებრივ - დაუდევარი დამოკიდებულება პურისა და სასურსათო ბარათების გაცემისადმი როგორც სტალინისის მომარაგების განყოფილების მხრით, ისე შაქრის ქარხნისა და შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის მხრით.

კერძოთ გამოირკვა, რომ:

1. სასურსათო ბარათების გაცემა ორივე ამ საწარმოებში ხდებოდა ყოველგვარი კონტროლისა და ხელმძღვანელობის გარეშე სტალინისის მომარაგების ინსპექტორის მხრით.

2. სრულებით არ არის მოწესრიგებული სასურსათო ბარათების დარიგების, არა საპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის მათი ჩამორთმევის და გამოუყენებელი სასურსათო ბარათების უკანვე დაბრუნების აღრიცხვა.

3. არავითარი ინსტრუქტირება არ ყოფილა ჩატარებული სასურსათო ბარათების გაცემის შესახებ, რის გამოც მათ დარიგებას სავსებით თვითდინების ხასიათი აქვს.

4. შაქრის ქარხნისა და შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ საერთოდ შემოღებული სასურსათო ბარათების გარდა, საქ. მომარაგების სახკომატის ყოველგვარი სანქციის გარეშე, შემოღებულია დამატებითი დროებითი ტალონები (თვიური და ყოველდღიური), რომელთა გაცემის აღრიცხვაც სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

5. პურის გაცემა სწარმოებს მუშათა ფაქტიური რაოდენობის აღრიცხვის გარეშე, პური ეძლევათ აგრეთვე იმ ოჯახის წევრებსაც, რომელთაც თავისი მეურნეობა აქვთ და სოფლად ცხოვრობენ.

ყოველივე ამის გამო, წინასწარი გამოანგარიშებით მარტო ივნისში გადახარჯულ იქნა არა ნაკლებ 5 ტონა პურისა.

ზემოაღნიშნული დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსწორებისა და ხსენებული საწარმოებებში სასურსათო ბარათების და პურის გაცემის დღეს არსებული წესების ძირიანად შესაცვლელად, საქ. მომარაგების სახკომატის კოლეგია ადგენს:

1. სასურსათო ბარათების გაცემის საქმის რეორგანიზაციის ჩასატარებლად და სათანადო პრაქტიკული ღონისძიებათა ადგილობრივ შესამუშავებლად, საქ. მომარაგების სახკომატის სასურსათო ბარათების სამმართველომ დაუყოვნებლივ მიავლინოს აგარაში სპეციალური თანამშრომელი 6 დღის ვადით.

2. კატეგორიულად აიკრძალოს შაქრის ქარხნისა და ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციას რაიმე დამატებით ტალონების შემოღება პურის და სხვა პროდუქტების გასაცემად.

3. სასურსათო ბარათების გაცემისადმი თავის მოვალეობათა დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულებისათვის სტალინისის რაიონის მომარაგების ინსპექტორი **ხუციშვილი** მოხსნილ იქნეს და მიეცეს პასუხისგებაში.

4. პურის განიავების წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიუღებლობისათვის და პურის გაცემისათვის მუშათა არა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით გამოეცხადოს სასტიკი საყვედური შაქრის ქარხნისა და ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის ყოფ. დირექტორებს ამხ. **ცხოვრებაშვილს,** და ამხ. **ნანიშვილს.**

5. წინადადება მიეცეს შაქრის კომბინატის დირექტორს ამხ. **შალმანოვს** და შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების დირექტორს ამხ. **ნანიშვილს** პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ დაუყოვნებლივ მიიღონ სასტიკი ზომები მუშებისათვის პურის გაცემის საქმის მოსაწესრიგებლად და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან პურის გადახარჯვა დამტკიცებულ ლიმიტზე ზევით.

6. მომარაგების სამმართველომ ივლისის ბოლო რიცხვებში შეამოწმოს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

7. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. მომარაგების სახალხო კომისარი: **დ. ქუჩულორია**

5 ივლისი. 1933 წ.
ტფილისი.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ტრესტებისა და საწარმოების აპარატების რეორგანიზაცია

დონბასის მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მითითებათა საფუძველზე საქართველოს მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი ახდენს ტრესტებისა და საწარმოების აპარატების რეორგანიზაციას. რეორგანიზაციის მიზანია ტექნიკური ხელმძღვანელობის მიახლოვება უშუალოდ საწარმოსთან, ტექნიკური ნორმების განხორციელება როგორც შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საფუძველი საწარმოებში, ერთმმართველობის გაძლიერება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, გაუპიროვნების აღმოფხვრა უმაღლეს და საშუალო ტექპერსონალის მუშაობაში, აპარატის შემცირება, და აგრეთვე ტექნიკური ძალების მართებული განაწილება საწარმოში.

10 ივლისს შესდგება მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის კოლეგიის გაფართოებული სხდომა ტრესტების მმართველების, საწარმოების დირექტორების და ცეხების გამგეების მონაწილეობით, რომელზედაც დამუშავდება მსუბუქი მრეწველობის კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურა (ადს).

8 ივლისიდან დაიწყო ელბაქიძის სახელობის (ვერის) ხიდის კაპიტალური რემონტი, რომელიც უნდა დამთავრდეს 25 დღეში. სწარმოებს ხიდზე დაგებული ტრამვაის რელსების გამოცვლა და წყალსადენის 8 მილის შეცვლა 14-ით. ხიდზე დროებით შეწყვეტილია ყოველგვარი სატრანსპორტო მიმოსვლა.

სურათზე: ხიდის ძველი ფენილის აღება.

თურქეთ საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ყრილობა

10 ივლისს ტფილისში გაიხსნება მესამე მორიგი ყრილობა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის საქმეზე.

ყრილობის პროგრამაში დგას 28 საკითხი, რომელთაგან 17 შეტანილია საბჭოთა კავშირის, ხოლო 11 თურქეთის მიერ, საკითხების უმრავლესობა ტექნიკური ხასიათისაა და ეხებიან შეთანხმებებს ვაგონებით ურთიერთ სარგებლობის შესახებ, მოსაზღვრე გადამცემ სადგურის ლენინაკანის [illegible] ტელეგრაფო კავშირის [illegible] ამიერ-კავკასიის [illegible] რკინის გზებს შორის და სხვ.

საბჭოთა მხარე ყრილობაზე წარმოდგენილია დელეგაციით, რომელშიც შედიან: ა.-კ. რკინის გზის დირექტორი ამხ. **როზენცვეიგი** (თავმჯდომარე) და ამხ. ამხ. **ისხაკოვი** და **ტიხომიროვი** (ადს).

თურქეთის დელეგაციის ჩამოსვლა

9 ივლისს დილის მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს თურქეთ - საბჭოთა კავშირს შორის სარკინიგზო მოძრაობის საქმეზე მოწვეულ ყრილობაზე. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან თურქეთის რკინის გზების დირექტორის მოადგილე **შეფიკ ბეი აბდულაჰ ოღლი** და **მაჰმედ ჯემალი.** 9 ივლისს დღისით თურქეთის დელეგატები ესტუმრენ ა.-კ. რკინის გზის დირექტორს ამხ. **როზენცვეიგს,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილეს ამიერ - კავკასიაში ამხ. **კვიტაშვილს** და, ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **მაჩაიძეს** (ადს).

ღონისძიებები სტუდენტთა მომარაგების გასაუმჯობესებლად

საქ. პროფსაბჭოსთან არსებული პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიურო და საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატი, საბჭ. კავშირის მომხ. კოოპ. ცენტრალური კავშირის (ცენტროსოიუზის) უკანასკნელი დირექტივის საფუძველზე, ატარებენ სტუდენტთა მომარაგების გარდაქმნას.

აქამდე სტუდენტთა დახურული კოოპერატივები იხსნებოდა მხოლოდ მსხვილ ინსტიტუტებთან, რომლებშიაც ირიცხებოდა 4000 სტუდენტი. ამგვარად, საქართველოს თითქმის ყველა ინსტიტუტი მოკლებული იყო საკუთარ დახურულ განმანაწილებელს (იყო მხოლოდ გაერთიანებული განმანაწილებელი), სტუდენტთა ქალაქის სტუდენტთა დახურული კოოპერატივი მომსახურეობას უწევდა 10 ათასამდე კაცს, მაგრამ თავისი საფინანსო ბაზა მას არ ჰქონდა და მუშაობდა საქვაჭრობის მიერ სესხად მიცემული 30.000 მანეთით. არ ჰქონდა მას აგრეთვე საქონლის ფონდები. სტუდენტები მარაგდებოდა „შემთხვევით“ მიღებული სამრეწველო საქონლით.

ახალი დებულება მომარაგების შესახებ უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს დახურული განმანაწილებელთა ქსელის დაწვრილებას, სტუდენტთა დახურული კოოპერატივები იხსნება ისეთ ინსტიტუტებთან, რომლებშიაც ირიცხება 1000 სტუდენტი. სტუდენტთა დახურული კოოპერატივების დაწვრილების გატარება საშუალებას მოგვცემს მომსახურეობა გავუწიოთ სტუდენტთა კმაყოფაზე მყოფთაც.

საბჭოთა კავშირის ცენტროსოიუზთან შექმნილია სტუდენტთა მომარაგების ბიურო, რომელსაც მოეპოვება სპეციალური საქონლის და ფულადი ფონდები. ბიურომ საქართველოსთვის უკვე გამოყო 25.000 მანეთი და 140.000 მანეთის სამრეწველო საქონელი. ფული და საქონელი მიღებული იქნება ტფილისში უახლოეს დღეებში. სტუდენტთა დახურული კოოპერატივებისათვის ფულადი ფონდის შესაქმნელად მიზიდული იქნებიან სათანადო სასწავლო ორგანიზაციები. ახალი პროექტით სტუდენტთა დახურული კოოპერატივი კისრულობს სტუდენტთა სასადილოების მომარაგებას. მთელი რეორგანიზაცია უნდა ჩატარდეს ივლისის განმავლობაში (ადს).

მარგანეცის ამოღება და გარეცხვა

(ტონობით)

(7 ივლისს)

მაღაროების ჯგუფი	დავალება	შესრულება	პროცენტი
ამოღება			
პირველი	1.944	1679	86,3
მეორე	1.735	1.282	73,8
ს უ ლ	3679	2961	80,4
გარეცხვა			
პირველი	845	664	78,6
მეორე	1060	746	70,4
ს უ ლ	1905	1410	74

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილების და განსახკომის მიერ ახალი სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით რაიონული ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად მობილიზებულია შემდეგი ამხანაგები: გ. გოგიაძე, ი. ვაშაყმაძე, ს. ფანცხავა, მ. გაბისონია, შ. გაჩეჩილაძე, დ. ასათიანი, კ. ჭკუასელი, ვ. გოცირიძე; ა. კვაჭაძე, კ. ბერიძე, ა. მურუსიძე, ვ. ქობულია, შ. გეგენავა, აკ. გვახარია, წილოსანი, კუხალეიშვილი, ციხისთავი, შ. სიხარულიძე, სიმონგულოვი (განსახკომიდან), ვ. კოჭარავა, კ. სულაქველიძე, ა. ბრეგვაძე, ატაშიანი, მანველიანი, შ. თევდორაძე, ფოფხაძე, კოპალიანი, ვ. ძიძიგური, ლ. შახვალადოვი, პანიცკი, მაილიანცი, მაისურაძე, თოდრია ან ძიძიგური (განმუშაკთა კავშირი), დ. გურგენიძე, კ. გაბუნია, ხერგიანი, გუსეინოვი, ც. ნათიძე რ. ყენია, მ. გავაშელი, ნარიმანოვი, გაჯილაროვი, დ. დეკანოზიშვილი, კუკუშევი, თ. გურგენიძე. აღნიშნული ამხანაგები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ განათლების სახ. კომისარიატში საინსტრუქციო თათბირზე 11 ივლისს, დილის 10 საათზე (ოთახი № 3).

—:—

— 10 ივლისს, დღის 2 საათზე, ტფილისის კომიტეტის კადრების განყოფილებაში (ოთახი № 49), შესდგება თათბირი საკითხზე: „ძირეულ აგიტაციაზე რაიონული თათბირების და ტფილისის კონფერენციის მოწვევისათვის მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობის შესახებ“. თათბირზე სათანადო მასალებით უნდა გამოცხადდენ რაიკომების აგიტმასგანყოფილებების გამგეები, გაზ. „ზარია ვასტოკა“-ს, „კომუნისტი“-ს, „ტიფლისკი რაბოჩი“-ს, „პროლეტარი“-ს, „მუშა“-ს, რედაქციების წარმომადგენლები, მრავალტირაჟიანი გაზეთების: „ბიუველი“-ს, „ტიფლისკი სუკონშჩიკის“, „გუდოკის“, „წითელი ფეიქარის“, „წითელი დეპოელის“, „წითელი მკერავის“, „მუშა მეტყავეს“ და „მოლოტის“ რედაქტორები. რაიკომების ქალთა სექტორების გამგეები, ტრამვაის, 26-ის სახ. ქარხნის, ორჯონიკიძის ქარხნის, კალინინის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, მკერავის № 1-ლი და 2, ტყავის ქარხნის ფეხსაცმელების ფაბრიკის № 1-ლი და მე-2, სარემონტო ქარხნის, დეპოს, ტფილისის რკ. გზის სადგურის, სახკინმრეწვის, რადიო ცენტრის და საქ. პროფსაბჭოს პარტკოლექტივების აგიტსექტორების გამგეები, ამხ. ბონდარენკო (ა.-კ. სამხ. კომიტეტის აგიტმასგანყოფილების გამგე), ბაქრაძე (ც. კ-ის აგიტმასგანყ. გამგე), ლუსკინა (ცეკა).

— ც. კ-ის ბეჭდვითი სექტორში ამხ. ბუაჩიძესთან დღეს, 12 საათზე, უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: შიხალეევი, ვართანოვი, ვ. ჩაჩიბაია, ს. თალაკვაძე, კოდუა; შ. სიამაშვილი, ადანსკი, როსტიაშვილი, მაჩხანელი, იასონ ხუციშვილი, ამხ. ნაროუშვილი, ს. ლაშხი, შ. ტყეშელაშვილი, გრ. იარალოვი, სიმონ წვერავა, გურგენიძე, ამბაკო გოგინავა, ერელაშვილი, ლორთქიფანიძე. იმ ამხანაგებმა, რომლებიც ტფილისის გარეთ იმყოფებიან, უნდა აცნობონ ბეჭდვითი სექტორს თავიანთი მისამართი დეპეშით.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

საზაფხულო	ამირანი 9, 10-30	საქ. სახკ. ნაწარმ. სურამის ციხე პრ. გარ.—საჟ. ჟურნ. № 14
	დამკვრელი 9, 10-30	ლ. ტოლსტოის რომანის მიხედვით კოჭლი ბატონი. პრ. გ. სადარაჯოზე №5
	ტემპი 9. 11.	იგორ ილინსკი კომედიაში ტიკინა მილიონებით. პრ. გარ.—ბოსტნეული
	კომინტერნი (დიდუბე) 9. 10-30	საზღვარგარეთული ფილმი კაცი, რომელიც იცინის
საზამთრო	ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	ახალი ხმოვანი ფილმი მოსკოვი პრ. გარ. საჟ № 13—საბჭ. ხელოვ. № 3
	დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11.	მხატვრული ფილმი გამცემი პრ. გარეშე—საჟ № 16.
	რ. ლუქსემბურგის 7, 8-45, 10 30	მხატ. ფილმი საუცხოვო კარიერა პროგრ. გარ.—საჟ № 13.
	სპარტაკი 7-30. 9. 10-30	უკანასკნელი დღე მის - მენდ მე-3 სერია
	საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი ორი დათვი (ახალგაზრდა ენტუზიასტები)
	მეცნიერება და ტექნიკა 8, 9-30	სამეცნიერო ფილმი დაავადებული ნერვები

ტფილისის ელექტრო-ანაგებთა ტრესტი
„ზ.ე.ტ.ა.ს.“-ი
აწყობს
ერთ თვიან კონტროლიორ-აღმწერლების
კურსებს

20 ივლისიდან, რომელზედაც დაიშვებიან ქალები არა ნაკლებ 17 წლისა შვიდწლედ დამთავრებულნი.
მსურველთა აღრიცხვა იწარმოებს „ტელას“-ში (თავისუფლების მოედანი № 2, ყოფ. თამამშევის ქარვასლა) ამხ. ქარგიშვილთან — 18 ივლისამდე დღის 1-ლ საათამდე.

ქართულის ცოდნა სავალდებულოა.

ნ. 149 „ტელას“-ის დირექცია.

ლენინის სახელობის
ინდუსტრიალური
ტექნიკუმი
1933/34 წლისათვის მიღებას აწარმოებს შემდეგ განხრებზე:

1) სატყეო, 2) მექანიკური, 3) სამკერვალო-ტექნოლოგიური და 4) პოლიგრაფიული.

I. მიღება მოხდება გამოცდების საშუალებით 7 წლედის მომზადების ბაზაზე შემდეგ საგნებში: 1. დედა ენა, (წერითი და ზეპირში), 2. მათემატიკა, 3) ფიზიკა, 4. ქიმია, 5) საზმეცნიერება.

II. შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ა) განათლების მოწმობა (7 წლედის ან მასთან გათანასწორებულ სასწავლებლ. დამთავრების), ბ) დაბადების მოწმობა (შემომსვლელი არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები და 21 წელზე მეტი, ვ) მოწმობა სოცმდგომარეობის (მშობლების საქმიანობის აღნიშვნით), ზ) ჯანმრთელობის მოწმობა, განცხადება და ორი ფოტოგრ. სურათი.

განცხადების მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები—15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

დირექტორი შ. ფოცხიშვილი.
ნ. 198

ყინული. „ტფილსოფლმრეწვი“-ს ყინულის მკეთებელ მანქანის ამუშავების გამო გაიცემა ყინული ყველაზე მომარაგების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ფასებში.

ყინული გაიცემა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: კლარა ცეტკინის ქ. № 152
ტრესტი „ტფილსოფლმრეწვი“
ნ. 135 2—1

ტფილისის გეოდეზიური
ტექნიკუმი
აცხადებს:

1. ტექნიკუმში ორი სექტორია: ქართული და რუსული;
2. ტექნიკუმში მიღება იწარმოებს, როგორც პირველ კურსზე, აგრეთვე მეორესა და მესამე კურსზე;
3. განცხადებათა მიღება 1-ლ ივლისიდან 15 აგვისტომდე, ხოლო გამოცდები 20 28 აგვისტომდე;
4. მიღების ყველა პირობის გაგება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში 11—3 საათამდე.

ტექნიკუმის მისამართი: კამოს ქ. № 109.

ტექნიკუმის დირექტორი
151 ნ. წითლიძე.

თანახმად საერთო კრების დადგენილებისა
ხდება ხეტყის საწარ. კოოპ. არტელ
„მარაგი“-ს ლიკვიდაცია

დაწესებულებებს და მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები არა უგვიანეს ორი კვირისა, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული. მისამართი: სანაპირო ქ. № 6.

154 ლიკვიდკომი.

ჰორიზონტი
151

საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის გამგეობა
„საქთევზი“
თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა ა-წ. 15 ივლისიდან
გადადის მუდმივად ქ. ბათომში
ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და მოქალაქეებს აღნიშნული რიცხვიდან მიმართოთ შემდეგი მისამართით:
ქ. ბათომი, ბაქოს ქუჩა № 4.
157 „საქართველოს თევზი“.

სიდედრი ეფროსი, ცოლისძმები: აკაკი, ისაკო ცოლშვილით, შალიკო, ცოლისდები: ლიდა, ვერა მაჭარაძეები იუწყებიან, რომ 10 ივლისს 6 ს. ხუდადოვის ტყეში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი ძვირფასი სიძის
ვანო ბეჟანოვის
ხსოვნის აღსანიშნავად. 152

ვალერიან მირიანის-ძე ასათიანი მთელი ოჯახის შემადგენლობით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს გიორგი ჭავჭავაძის დედის
დარიკო ჭავჭავაძის
გარდაცვალების გამო. 149

ტფ. სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ტფილ. კვებტრესტის შოფერის ამხ.
პავლე ბაინდუროვის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ნ. 150

დამწუხრებულნი: მეუღლე მინადორა, შვილები: ანდრო, ვანო, ანიკო და კაკო, სიძე კოტე იუწყებიან მათთვის ძვირფას
სოლომონ ლონტის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ივლისს ქ. ლანჩხუთში. 165

ცოლი ნინო, შვილები: სევერიანე და ვალიკო, ძმები: მაკარი და ნიკოლოზი, სიდედრი მარიამი მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
სამსონ სტეფანეს-ძე მოსიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 10 ივლისს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე, ჩახრუხაძის ქ. № 17 (ბაგრატიონის) 143

დამწუხრებული მეუღლე ილია შვილებით. გოგი, თამარა, სერგო, რძალი ევგენია, შვილიშვილი ნოდარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
დარია ივანეს-ასული ჭავჭავაძე
გამოსვენება 10 ივლისს, 6 ს. გონჩაროვის ქ. № 19, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 147

დამწუხრებული შვილები პავლუშა, პეტრე, ბიქტორი და ნიკოლოზ ცოლშვილით სანიკიძეები, დები: სონია შვილებით ვარდანაშვილისა და ვერა მაღრაძისა იუწყებიან საყვარელ დედის
ეკატერინე ნოზაძე-სანიკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 11 ივლისს. 150

დამწუხრებული მამა კოტე, დედა თებრო, ძმა შოთა ირემაშვილები იუწყებიან მათთვის უძვირფასეს შვილის
გოგი კონსტანტინეს-ძე ირემაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 10 ივლისს, საბჭოს ქ № 152, კუკიის სასაფლაოზე. 156

უახლოესი მეგობრები: ა. ქადაგიძე, ს. ფუტკარაძე, გ. ხუხუნაშვილი, ა. ჭინჭარაძე, ა. კიკნაძე, ტ. აფშილავა, ვ. კვარაცხელია, თ. ომიაძე, ტ. აღლაძე და ზ. სანაძე იუწყებიან, რომ 10 ივლისს 7 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტექნიკ
ვახტანგ ჩომახიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 164

დამწუხრებული მეუღლე ვასილი, შვილები: ალიოშა, ნადია, სერიოჟა, დათუნა ჩირგაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 11 ივლისს ქუთაისში ოლასკურის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
მელიქო სვანიძე-ჩირგაძის
ხსოვნის აღსანიშნავად 160

დამწუხრებული მშობლები: ვასასი, ალექსანდრე, შვილები: თინა, ავთანდილი, გივი, და მარო, ძმები: შალვა, ლადო უთალიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნინო უთალიშვილი-ყიფიანისა
გამოსვენება 11 ივლისს, 5 ს. ნავთლუღის რკინის გზის სახლიდან № 2. 155 2-1

უახლოესი მეზობლები: გ. ლუსნიკიანი, ი. ყენია, მ. შავლაყაძე, მ. კვახაძე, ს. მნაცაკანიანი, ე. კემკეკიანი აუწყებენ ნათესავ ნაცნობთ
სამსონ მოსიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 საათზე, ბაგრატიონის ქ. № 17. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე /158

ტფ. სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ტფილ. კვებტრესტის მომარაგება-დამზადების სექტორის დირექტორის
ხორენ ულუხანოვის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ნ.150

უახლოესი მეგობრები: გ. ტაბატაძე, პ. თუთბერიძე, ი. კაკაბაძე, კ. ქიტიაშვილი, ბ. ცქიტიშვილი, გ. ჭუბაძე, ვ. ქარუმიძე, შ. სტეფანოვი, ვ. სიხარულიძე და ან. ობოლაძე ვგლოვობთ ძვირფასი მეგობრის
შორა გოქაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 134

შვილი მარგარიტა, სიძე ბესარიონ დუნდუა შვილებით: ნინა და პეტრე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი
სპირიდონ ვასილის-ძე კაჭარავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ივლისს, 6 ს. გამოსვენება პლეხანოვის ქ. № 38. 163

შვილი ცაბუ, სიძე იაშა სიმონგულოვი შვილი ვილიკოთი აუწყებენ ნათესავ და მეგობრებს ძვირფასი
სპირიდონ ვასილის-ძე კაჭარავას
გარდაცვალებას დაკრძალვა 11 ივლისს 6 ს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება პლეხანოვის ქ. № 38 163

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ., № 66.

მთავლიტის რწმუნებული ა 1400